
პიონერი
1
1968
ალკკ
50

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956



1954 წლის მარტში, ლენინური პარტიის მოწოდებით, ყამირი მიწების ასათვისებლად, კომკავშირული საგზურებით პირველი რაზმები გაემგზავრა. სულ მალე მათმა რიცხვმა 350 ათასზე მეტს მიაღწია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს კომკავშირელთა გმირული შრომა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში. და აი, 1957 წლის 1 მარტს, კრემლის დიდი სასახლის დარბაზში, ლენინურ კომკავშირს გადაეცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

1948



დიდი სამამულო ომის შემდგომი პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა კომკავშირის სახელოვანი 30-ე წლისთავი. ამ დღეს კომკავშირის დროშაზე რიგით მეორე ლენინის ორდენი აკიაფდა.

„სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის" — ასე იუწყებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კომკავშირის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

1945



1941 წელი, დიდი სამამულო ომი. კომკავშირი კვლავ ავანგარდშია. კომკავშირელი — მეომარის. კომკავშირელი—პარტიზანის, კომკავშირელი — იატაკქვეშელის, კრასნოდონის ახალგაზრდა გვარდიის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე მატროსოვის, და მრავალი სხვა პატრიოტის ჯერ არნახული საგმირო საქმეები! დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობისათვის, 1945 წლის 14 ივნისს, ჩვენი სახელოვანი კომკავშირი ლენინის ორდენის კავალერი გახდა.

1931



სამოქალაქო ომის შემდეგ დადგა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პერიოდი, დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველი ხუთწლედები. და კომკავშირი კვლავ მხარში უდგას პარტიას სოციალიზმისათვის ბრძოლის დიდ საქმეში.

დნეპრჰესი, მაგნიტკა, კუზნეცკმშენი, ამურის კომსომოლსკი, დამკვრელ-კომკავშირელთა გმირული შრომა, პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება და... კომკავშირის ალამზე შრომის წითელი დროშის ორდენი აკიაფდა!

1928



სამოქალაქო ომის წლებში, ჯერ აღმოსავლეთის ფრონტზე 1919 წელს კოლჩაკის არმიის განადგურებაში აქტიური მონაწილეობისათვის, შემდეგ სამხრეთის ფრონტზე, უკრაინაში პეტლიუროველების, მახნოს ბანდების, დენიკინელების აღკვეთისათვის და, ბოლოს, კომუნისტების მხარდამხარ პერეკოპის შტურმით აღებისათვის, „შავი ბარონის" ვრანგელის განადგურებისათვის და საბჭოთა მიწა-წყლის პოლონელი ინტერვენტებისაგან განთავისუფლებისათვის, 1928 წლის თებერვალს საბჭოთა მთავრობამ ლენინური კომკავშირი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუბილარი — ლენინური კომკავშირი

**როინ მეტრეველი**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

10663

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას დიდი დღესასწაული აქვს: საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები ზეიმით აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს — ლენინური კომკავშირის დაარსების 50-ე წლისთავს.

პირველი კომკავშირული უჯრედების ჩასახვიდან დღემდე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი პარტიის საიმედო რეზერვი და ერთგული თანაშემწეა. იგი აქტიურად მონაწილეობს მომავალი თაობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით აღზრდაში, კომკავშირელები და ახალგაზრდები არასოდეს არ უშინდებოდნენ სიძნელეებს და სიახლისათვის ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდნენ.

ლენინური კომკავშირის მიერ განვლილი სახელოვანი გზა ფართო შესწავლასა და განზოგადებას იმსახურებს. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა ღრმად უნდა იცნობდეს წინა თაობათა გმირობისა და მამაცობის ისტორიას.

პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საუკეთესო შეფასებას აძლევდა ახალგაზრდობის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს და მოუწოდებდა მათ მუშათა კლასის მხარდამხარ ებრძოლათ მეფის თვითმპყრობელობისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის.

მოსწავლე ახალგაზრდობამ ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში დაამტკიცა მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება. 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს ახალგაზრდა მუშები, გლეხები და მოსწავლეები შეუპოვრად იბრძოდნენ ბარიკადებზე, აქტიურად მონაწილეობდნენ გაფიცვებსა და პოლიტიკურ მანიფესტაციებში.

ბოლშევიკურმა პარტიამ თავიდანვე სწორი მიმართულება მისცა ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას, დაეხმარა მას გაერთიანებულიყო დამოუკიდებელ, კლასობრივ ორგანიზაციაში.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ და საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის განვითარებამ დიდი გავლენა იქონია რუსეთსა და მის განაპირა მხარეებში ახალგაზრდობის გააქტიურებაზე.

რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას საქართველოში ხელმძღვანელობდნენ სოციალ-დემოკრატიული წრეები და ჯგუფები, შემდგომში კი — ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანიზაციები. ახალგაზრდები მოხერხებულად იყენებდნენ იდეოლოგიური ბრძოლის მძლავრ საშუალებას — ბეჭდვითს სიტყვას. მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ბეჭდავდნენ და მასებში ავრცელებ-

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

**პიონერი**

**10 · ოქტომბერი · 1968**

გამოცემის XXXXII წელი.



[library stamp]

დნენ პროკლამაციებს, მოწოდებებს, ჟურნალებს, რომლებშიც მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის გამაქხნევებელი ხმა გაისმოდა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკური პარტიის დახმარებითა და ხელმძღვანელობით რუსეთის სამრეწველო ცენტრებში დაიწყო ახალგაზრდობის დამოუკიდებელი პროლეტარული ორგანიზაციების შექმნა.

მუშა ახალგაზრდობის პირველი სოციალისტური მასობრივი ორგანიზაცია შეიქმნა პეტროგრადის ნარვა-პეტერგოფის რაიონში. ეს იყო პუტილოვის გემთსაშენის უფროსი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფი: ასეთივე კავშირები შეიქმნა ვიბორგისა და პეტროგრადის სხვა რაიონებში. ამ პერიოდში პროლეტარული ახალგაზრდობის პირველი ორგანიზაციები — სოციალისტური კავშირები და უჯრედები წარმოიშვა მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ტულაში, სარატოვში და სხვა ქალაქებში.

ახალგაზრდობის დამოუკიდებელი მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნაში დიდი როლი შეასრულა გაზეთმა „პრავდამ“, რომელსაც იმჟამად ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

ახალგაზრდული რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის VI ყრილობას, რომელმაც საგანგებოდ განიხილა და მიიღო რეზოლუცია ახალგაზრდობის კავშირების შესახებ.

რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე რუსეთის ბევრ ქალაქში, განსაკუთრებით პეტროგრადში, დაიწყო მუშა ახალგაზრდობის ფართო მოძრაობა ახალგაზრდა მუშათა დამოუკიდებელი ორგანიზაციების შესაქმნელად. მაგრამ ამ კავშირებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული ერთიანი ამოცანები, მუშაობის მეთოდები. აუცილებელი გახდა დასახულიყო რევოლუციური პროგრამა ახალგაზრდობის მოძრაობისათვის, განსაზღვრულიყო მისი ორგანიზაციული პრინციპები, მუშაობის ფორმები და მეთოდები და გაძლიერებულიყო კავშირების მიმართ პარტიული ხელმძღვანელობა.

ყრილობამ აუცილებლობად ჩათვალა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექციათ ახალგაზრდობის ორგანიზაციისათვის.

1917 წლის აგვისტოდან იწყება ახალი ეტაპი ახალგაზრდობის მოძრაობის განვითარებაში, როცა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პირველმა კონფერენციამ პეტროგრადის ახალგაზრდობის კავშირები გააერთიანა მუშა ახალგაზრდობის ერთიან სოციალისტურ კავშირად. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ეს კავშირი პროლეტარული ახალგაზრდობის კლასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის მთავარ მიზნად ისახავს მუშათა კლასის მოზარდი თაობის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას, მისი კულტურული დონის ამაღლებას. კონფერენციამ მიიღო პროგრამა და წესდება.

პეტროგრადის მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი ლენინური კომკავშირის პირველი სახე იყო. ასეთივე კავშირები შეიქმნა მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში, დონის როსტოვში, და სხვა ქალაქებში.

ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციებს ბოლშევიკური პარტიის პლატფორმა თავიანთი კლასობრივი ინტერესების გამოხატულებად, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობის პროგრამად მიაჩნდათ, ამიტომაც იარაღით ხელში აღსდგნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და უმაგალითო გმირობის ფურცლები ჩაწერეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მატიანეში. მამებისა და უფროსი ძმების მსგავსად ისინი საბრძოლო შაშხანებსა და ვაზნებს იღებდნენ და მკერდით იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 19 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — კომკავშირს. ამიერიდან ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილებისა და ჭაბუკების მებრძოლ ავანგარდად, რომლის საშუალებითაც პარტია ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას წარმართავდა.

უსამართლობის წინააღმდეგ რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციურ ბრძოლებს მხარს აძლევდა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩამოყალიბებული და გამოწრთობილი ახალგაზრდული რევოლუციური ორგანიზაციები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

1917 წლის აგვისტოში უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებით და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაევალა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება.

3 სექტემბერს ჩატარებულ კრებას დაესწრნენ ახალგაზრდა მუშები, მასწავლებლები, სტუდენტები და მოსწავლეები, სულ 200 კაცამდე. კრების დადგენილებით,



ახალგაზრდობის ორგანიზაციას ეწოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. ორგანიზაციაში შემსვლელთათვის დაწესდა ასაკი 15-დან 25 წლამდე. კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი, განიხილა ორგანიზაციის წესდების საკითხი და მიიღო მანიფესტი — „კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას“, რომელიც ახალგაზრდობას რევოლუციური ორგანიზაციების შექმნისაკენ მოუწოდებდა.

„საინიციატივო ჯგუფის“ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდა ბოლშევიკმა ბორის დავითის ძე ძნელაძემ, რომელიც სამართლიანად ითვლება საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთ დამაარსებლად.

„სპარტაკის“ ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური ახალგაზრდობის ნამდვილ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომლის საფუძველზე შემდგომში საქართველოს კომკავშირი წარმოიშვა. მალე, „სპარტაკის“ ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, ლეჩხუმში, რაჭაში, ლანჩხუთში, ბათუმში, სოხუმში და სხვა რაიონებში. ასე რომ, 1919 წლის პირველი ნახევრისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები შექმნილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ამიტომ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დაისვა „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის გაერთიანება ახალგაზრდობის ერთ კომუნისტურ ორგანიზაციად, ერთი ხელმძღვანელი ცენტრით. ეს ამოცანა „სპარტაკის“ ორგანიზაციების სრულიად საქართველოს ყრილობას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ შექმნილი რთული ისტორიული პირობები არ იძლეოდა ამის საშუალებას.

ამიტომ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა გადაწყვიტეს ასეთ ვითარებაში მხოლოდ „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების საქალაქო კონფერენცია ჩაეტარებინათ. 1919 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მიმდინარეობდა „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელსაც 50 დელეგატი ესწრებოდა.

კონფერენციამ ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა თბილისის „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკს“ დარქმეოდა „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. კონფერენციამ დაამტკიცა წესდება, მიიღო „დეკლარაცია მუშა ახალგაზრდობისადმი“, თბილისის ოთხივე რაიონის „სპარტაკის“ ორგანიზაციები გააერთიანა ერთიან ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციაში და აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის მეთაურობით.

„სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციების პირველ საერთო-საქალაქო კონფერენციას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან ორგანიზაციულად გააფორმა კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი ორგანიზაცია თბილისსა და საქართველოში.

კომკავშირის ისტორიაში დაუვიწყარია 1920 წელს ჩატარებული III ყრილობა, რომელზეც მოზარდი თაობის ბრძოლისა და შრომის საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა. ამ ისტორიულ სიტყვაში გენიალური სიღრმითა და სიზუსტით ჩამოყალიბდა კომკავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, დაისახა ახალგაზრდობის პრაქტიკული მოღვაწეობის, ცოდნის შეძენის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლების ამოცანები. ვ. ი. ლენინის მიერ წამოჭრილი უპირველესი ამოცანა — კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის აღზრდა, კომკავშირის მთელი შემდგომი მუშაობის ღერძად და დედააზრად გადაიქცა.

კომკავშირის VI ყრილობაზე, როცა ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა გენიალური ბელადის სახელი დაირქვა, მან იკისრა დიდი პასუხისმგებლობა — ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაექცია თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად.

ასე დაიწყო არნახული შეტევა სოციალიზმის მშენებლობათა ობიექტებზე. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ ჩამორჩენილობას, შიმშილსა და სიღარიბეს, მათ იერიში მიიტანეს გიგანტურ მშენებლობებზე. ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მარჯვენის ძალა გამოსცადა ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ და კოლხეთის ჭაობიანმა ველ-მინდვრებმა. ახალგაზრდობა მთელი შესაძლებლობითა და გულმოდგინებით იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების განმტკიცებისათვის. კომკავშირელები იყვნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური შეჯიბრების წამომწყები და შრომის დამკვრელთა მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი.

ხუთწლიანი გეგმების შესრულებით ამაღლდა მშრომელი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის დონე. მაგრამ გერმანელმა ფაშისტებმა შემოქმედებით შრომაში გართულ საბჭოთა ხალხს მოულოდნელად თავს მოახვიეს ომი. რა თქმა უნდა, უფროს თაობასთან ერთად ახალგაზრდობაც აღსდგა რევოლუციური მონაპოვრების, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა საუკეთესო თვისებები მთელი სიცხადით გამოვლინდა დიდ სამამულო ომში. კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა გმი-



რობისა და ვაჟკაცობის, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებისა და დაბრკოლებათა დაძლევის უბადლო მაგალითები გვაჩვენეს. ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასობრივი მამაცობა და თავგანწირულობა, როგორიც გამოიჩინეს ჩვენმა ხალხმა და მისმა სასიქადულო მომავალმა თაობამ. 3,5 მილიონი კომკავშირელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის 11 ათასი გმირიდან 7 ათას კომკავშირელსა და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა ეს საპატიო წოდება. საკმარისია ახალგაზრდა გმირების სახელების ჩამოთვლა, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ვერაგი მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის მძიმე ეპიზოდები, ის უდიდესი, არნახული თავგანწირვა, სამშობლოს ერთგულმა დამცველებმა რომ გამოიჩინეს.

მამულისადმი როგორი უანგარო სიყვარული და ერთგულება ამოძრავებდათ სოციალისტური სამშობლოს გმირ დამცველებს, ამაზე თუნდაც ასეთი ფაქტი მეტყველებს: თბილისელი ვახტანგ მიქელაძე კომკავშირის კიროვის რაიონულ კომიტეტს ბრძოლის ველიდან სწერდა: „კომკავშირელებისადმი მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინეთ, დაე თვითეულმა ახალგაზრდამ იცოდეს, რომ კომკავშირული ბილეთის წმინდად ტარებისათვის მშრომელთა სისხლი დაიღვარა სამოქალაქო ომში და ახლაც სისხლი იღვრება საყვარელი სამშობლოსათვის“.

და მართლაც, ჩვენი ახალგაზრდობის დიდი მომთხოვნელობა და მტერზე გამარჯვებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა არასოდეს დაავიწყდებათ მოსკოვისა და ლენინგრადის, სტალინგრადისა და სევასტოპოლის, ოდესისა და ბრესტის ერთგულ დამცველებს.

ომის შემდგომ წლებშიც საქართველოს კომკავშირმა ბევრჯერ დაამტკიცა პარტიისა და ხალხის საქმისათვის თავდადება. მან იერიში მიიტანა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე, შრომითი გმირობის ფურცლები ჩაწერა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პატრიოტულ საქმეში.

კომკავშირმა გაამართლა დიდი ლენინის ანდერძი, რომ იგი ყოფილიყო დამკვრელი ჯგუფი და ახალ წამოწყებათა მოთავე. ახალგაზრდობა ხალისით მონაწილეობს ყოველ ახალ წამოწყებაში. კომუნისტური შრომის დამკვრელების, ბრიგადების, კოლექტივების ბრძოლა მის სახელთან არის დაკავშირებული.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში არ ყოფილა დიდი თუ პატარა საქმე, რაშიც ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ღირსეული წვლილი არ შეეტანოთ.

სწორედ ამიტომ, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დაარსების 50-ე წლისთავის ზეიმს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ახალ-ახალი წარმატებებით ხვდება. ისინი სწორად წარმართავენ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს; სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდობას აცნობენ და აყვარებენ პარტიისა და კომკავშირის გმირულ ისტორიას, უფროსი თაობების სასახელო რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, პროპაგანდას უწევენ ყოველ ახალსა და პროგრესულს; ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ეწყობა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებთან, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის გმირებთან, შრომის ნოვატორებთან... ღვაწლმოსილი ადამიანები ახალგაზრდობის წინაშე გამოდიან ლექციებითა და მოგონებებით, აკეთებენ უამრავ სასარგებლო საქმეს, ახალგაზრდობას უნერგავენ პარტიისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულს, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნას.

ასეთმა მუშაობამ სასურველი შედეგები გამოიღო. რესპუბლიკის ჭაბუკებმა შეფობა გამოაცხადეს შინმოუსვლელთა საფლავებზე, გამოავლინეს უცნობი გმირები, მოაწყეს ლაშქრობები საბრძოლო დიდების გზებზე.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მქონე თბილისის ლენინის რაიონში საფუძველი ჩაეყარა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების ლაშქრობას: „მამაცთა გზით“. ამ რაიონის მოსწავლეებმა მოწოდებით მიმართეს თანატოლებს, ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად უფრო ღრმად შეესწავლათ კომკავშირის ისტორია, შეეგროვებინათ ისტორიული მასალები ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, შეესწავლათ და აღედგინათ წინა თაობების შესანიშნავი კომკავშირული ტრადიციები. სკოლებში შექმნილი რაზმები და შტაბები, ძველი ბოლშევიკებისა და ვეტერანი კომკავშირელების დახმარებით, ადგენენ პირველი უჯრედების რუკებს, მატიანეებს და ეძებენ ოციანი წლების უცნობ გმირებს. ამ მხრივ საინტერესო მუშაობას ეწევიან ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, სამხრეთ ოსეთის, ხაშურისა და სხვა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომკავშირი განსაკუთრებით ზრუნავს იმისათვის, რომ ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები მაქსიმალურად გამოიყენოს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მივლინებით, ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, არქიტექტორები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მართავენ ლიტერატურულ საღამოებს, აწყობენ ახალი კინოფილმებისა და სპექტაკლების გარჩევებს,



ახალგაზრდობის ფართო მასებში პროპაგანდას უწევენ უკანასკნელი დროის მიღწევებს.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკური შეკრებების ჩატარება. „შემოქმედი და ეპოქა“ — ამ დევიზით ჩატარდა მიმდინარე წლის მარტში ბაკურიანში მე-4 რესპუბლიკური სემინარი, რომელიც ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავს მიეძღვნა და, სადაც გაიმართა პრინციპული მსჯელობა ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების საკითხებზე. შეკრებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ახალგაზრდა შემოქმედთა სახით ჩვენს პარტიას დიდი ძალა ჰყავს, რომელიც ყველაფერს გააკეთებს მშობლიური ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და იზრუნებს იმისათვის, რომ მართალი საღებავებით ასახოს თანამედროვე ახალგაზრდობის მისწრაფებები, ჩვენი ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა.

ახალგაზრდობის აღზრდაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები. ისინი სისტემატურად აწყობენ ლექტორთა დღეებს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე, ხელმძღვანელობენ თეორიულ კონფერენციებს, თემატურ საღამოებს.

კომკავშირულ ორგანიზაციებს აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაში აქტიურად ეხმარება სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია, რომელიც სათავეში უდგას სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამ მხრივ საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ ყვარლის, გეგეჭკორის, ახალციხის, შუახევის და სხვა რაიონების ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ჭაბუკებისა და ქალიშვილების დიდ შესაძლებლობებს უნარიანად ახმარენ მშობლიური სოფლისა და რაიონის უკეთ მოწყობას, ისტორიულ-რევოლუციური ძეგლების მოვლა-პატრონობას, აწყობენ შაბათობებს, სპორტულ თამაშობებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კომკავშირის 27-ე ყრილობამ, როგორც ცნობილია, გამოაცხადა ლენინური ორწლედი, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდობაში ლენინიზმის გაძლიერებულ პროპაგანდას, ბრძოლას სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ქალაქის ინტელიგენციის შეფობას სოფელზე და სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას და მათი ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტებას.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ ლენინური ორწლედის ცხოვრებაში განხორციელებისათვის ბრძოლას. საწარმოებსა და მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ახალგაზრდობა ლენინის ცხოვრების მაგალითებით იძენს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის საუკეთესო თვისებებს, რათა მთელი თავისი ენერგია მშობელი ხალხის ინტერესებს მოახმაროს. გულს კანონიერი სიამაყით აღავსებს ახალგაზრდა მეფოლადეების, მეჩაიეების, მევენახეების, მეავტომობილეებისა და სხვათა კარგი საქმეები.

სასახელოდ შრომობენ თბილისელი მეტრომშენებლები და რუსთაველი მეტალურგები, ციტრუსების უხვი მოსავლის ოსტატები და ენგურჰესის დამკვრელური მშენებლობის ახალგაზრდები. საიუბილეო წელი გადაქცეულია ახალგაზრდობის შრომითი წარმატებებისა და მიღწევების, სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის დათვალიერებად.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მშრომელ ახალგაზრდობასთან ერთად ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავს წარმატებებით ხვდება ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომელმაც, კომკავშირის მაგალითისამებრ, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად ლენინური ორწლედი გამოაცხადა.

ქუთაისელი პიონერების თაოსნობას რესპუბლიკის ყველა პიონერულმა რაზმმა და რაზმეულმა დაუჭირა მხარი. გადაწყვიტეს მიაღწიონ იმას, რომ არცერთი პიონერი არ დარჩეს ერთსადაიმავე კლასში; გულდასმით შეისწავლონ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა: მოაწყონ ლენინისადმი მიძღვნილი სტენდები, კუთხეები, გამოფენები, ლენინის ოთახები და მუზეუმები. ქალაქების პიონერებმა შეფობა იკისრეს მახლობელი სოფლების სკოლების რაზმეულებზე. სოფლის პიონერებთან ისინი გამართავენ კონცერტებს, სპორტულ შეჯიბრებებს, დაეხმარებიან ტექნიკური წრეების ჩამოყალიბებაში.

სოფლის პიონერულ ორგანიზაციებთან შექმნილი პიონერული რგოლები და ბრიგადები ეხმარებიან ახალგაზრდა მეჩაიეებს, მევენახეებს, მეცხოველეებს... ისინი მონაწილეობას იღებენ ქალაქებისა და რაიონების პიონერული ხეივნების, ბაღების გამწვანებაში.

საბჭოთა ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ყოველი დღე აღსავსეა ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ მისწრაფების დაუოკებელი სურვილით. საბჭოთა ახალგაზრდობამ, კომკავშირმა ორმოცდაათი წლის მანძილზე დაამტკიცეს, რომ მათი შრომა და შემოქმედება ხალხს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ემსახურება.

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველი კომკავშირელი

მორის ფოცხიშვილი

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.

ვინც მეგობრობის ანძაზე
ერთობის აფრას არხევს,
ვინც ჰკვეთს სინათლის დარბაზებს,
ვინც სჭრის მომავლის არხებს,
ვინც ძმობით ეხიდკაცება
ძმებად შეფიცულ ხალხებს,
ვინც უსახელო უდაბნოს
არქმევს ქალაქის სახელს,
ვისაც სამშობლოს დიდება
წინ ბაირაღად მიაქვს,—
კომკავშირელი ერქვა და
კომკავშირელი ჰქვია!

ვინც გრიგალქარებს მიარღვევს
და არ მორჩილებს ავდარს,
ვინც არ უკრთება სიმაღლეს,
ხვატს, სიცივეს და ღადარს,
ვინც ყამირს გული გაუხსნა,
ააბიბინა მთები,
ვინც წერაყინით გაკვალა
მწვერვალებისკენ გზები,
ვისაც შენების საქმეში
კაცური წვლილი შეაქვს,—
კომკავშირელი ერქვა და
კომკავშირელი ჰქვია!

●

დიდი ლენინის მხარდამხარ,
როგორც არწივის მართვე,
ფრთებს შლიდა ახალგაზრდობა,
პირველ ნაბიჯებს დგამდა,
უწვერულვაშო ჭაბუკი
ბრძენს და განსწავლულს ჰგავდა,
პირველი კვალი გაჰყავდა,
პირველ. ხეხილებს რგავდა,
პირველი კომკავშირელი
პირველ ყვავილებს რწყავდა,
პირველი პურისმკელივით
მკაში პირველ ძნას კრავდა.



პირველ ვარდ-ფურცელს აწყობდა,
პირველ მოსავალს ფქვავდა,
პირველ გვალვასაც ებრძოდა,
პირველ ზვავსა და ავდარს...
ვით ოკეანე დიდგული,
დუღდა პირველი კრება,—
პირველი კომკავშირული
აზრი, ოცნება, ცნება...
და იწრთობოდა ფოლადი
ყველა ყმაწვილის სულში,
ითესებოდა ხორბალი
რწმენა-იმედის ხნულში.

პირველი შუქით ხარობდა
პირველი სკა და ნუში,
პირველ სიმღერას ამბობდა
პირველმაჭარი ჭურში.
პირველ ტრაქტორებს ჩარხავდნენ,
პირველ სახნისებს ჭრიდნენ,
მშვიდობის სადარაჯოზე
იმედიანად იდგნენ,
იდგნენ და იგერიებდნენ
ვრანგელს, დენიკინს, კოლჩაკს,
არ დაუხრიათ არასდროს
თავისუფლების დროშა.



გაპარტახებულ ქალაქებს,
განადგურებულ სოფლებს
აღმდგენელებად მოედვნენ,
აღმშენებლებად მოჰყვნენ
და აგურ-აგურ აზიდეს
დედასამშობლო მზემდე,—
მაღაროებში სწავლობდნენ,
თოფის კონდახზე სწერდნენ,
შიმშილობდნენ და იღწვოდნენ,
არც დასცდენიათ კვნესა.—
მათი ოცნების ნათელი
ჩვენ გზას გვიშუქებს დღესაც.

დიდია ჩვენი ქვეყანა,
ოცნება—უფრო დიდი,
ჩვენს აწმყოს ახალგაზრდები
სისხლით და ოფლით ვქმნიდით.
და, რაც სიცოცხლედ ვიწამეთ,
და, რაც სამშობლოდ ვცანით,
მთა და ველების სიმწვანე,
გიცისკრებული ცანი,
ქალაქები და სოფლები,
ზვრები—ქცეული ქარვად,
არ გაიცვლება აროდეს,
არც დაითმობა არა!



მტერი კი ისევ გვმტრობდა და
ირგვლივ მუმლივით გვერტყა,
მუხა ვით მუხა რჩებოდა,
მუმლი წყდებოდა ქვეყნად.
მკერზდე ვარსკვლავებს გვაჭრიდნენ,
ცოცხლად გვმარხავდნენ შლამში,—
ფიცს კი არ სტეხდა ოლეგი—
სულმთლად ჭაღარა ბავშვი.
ო, არ ტყდებოდა ტანია,
ნაზი არსება ერთობ,
მის გულში კომკავშირული
სული მზესავით ენთო.

ევლინებოდა მომხდურებს
შურისძიების მაცნედ:
— მე შოთა გამცემლიძე ვარ
და ყველას პასუხს გავცემ!
— მე ვარ ზოია რუხაძე,
ყველამ იცოდეს მარად,—
არ უწერია გაქრობა
დედასამშობლოს, არა!
არ დაგვიკარგავს რწმენა და
არ დავემონეთ მტარვალს,
არა ვართ გულმშიშარები,
არა, მხდალები არ ვართ...

●

და რაიხსტაგის კედლებთან—
მკვდარი ურჩხულის გვერდით,
პირველ სიმღერებს ვმღეროდით,
პირველ წერილებს ვწერდით
და ვბრუნდებოდით გადამწვარ
და გადაბუგულ გზებით,
თმაშეთოვლილი ბიჭები,
მკერდგარუჯული ძმები.
და ვაშენებდით ისევე
და ვმაღლდებოდით ისევ.
ფრთებად ვისხამდით მზის ხელებს,
ცად ვგუზგუზებდით მზისებრ.

და ჰა, მოვედით იქ, სადაც
წარსულს ვიხსენებთ გზნებით,
ორმოცდაათი წლისა ვარ
და კვლავ ჭაბუკი ვრჩები!

მინც კომუნიზმის კვარცხლბეკზე
ვშვიდობის ძეგლად ჩნდება,
ვინც ფიქრს მიაფრენს მთვარეზე
ხვალინდელი დღის გზნებად,
ის, ვინც ამ ქვეყნად მარადჟამს
ხალხის ერთგული რჩება,
ვინც დაამკვიდრა სიმღერა,
ლხინი, სიცოცხლე, შვება,
ვისაც მომავლის იმედი
წინ ბაირაღად მიაქვს,—
კომკავშირელი ერქვა და
კომკავშირელი ჰქვია!



## ვ. ი. ლენინი

### ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური-კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან. 1920 წ. 2 ოქტომბერი.

როცა ჩვენ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შორისაც და ახალი განათლების ზოგიერთ დამცველთა შორისაც ხშირად გვესმის ძველი სკოლის ძაგება—ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყოო, ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში კარგი იყო. ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი—დამახინჯებული; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ კომუნისტური დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას,—რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია,—თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას. ვინაიდან თქვენ მშვენივრად იცით, რომ სანამ რუსეთი ერთადერთ მუშურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო მთელ დანარჩენ მსოფლიოში ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება არსებობს, ჩვენ მათზე სუსტნი ვართ; რომ ყოველთვის გვემუქრება ახალი შემოტევა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ ვისწავლით მჭიდრო შეკავშირებას და ერთსულოვნებას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენს შემდგომ ბრძოლაში, და გავმაგრდებით რა, მართლაც უძლეველნი გავხდებით. ამრიგად კომუნისტად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ შეძლებთ თქვენ დაიწყოთ და ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ
ილიასძე
ლენინი
რუსეთის
ახალგაზრდობის
კომუნისტური
კავშირის
III
ყრილობის
დელეგატთა
შორის

მხატვარი
პ. ბელოუსოვი

...თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა, ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის ვეტერანები

# საქართველოს კომკავშირის პირველი „ლეგალური“ ყრილობა

1919 წლის ზაფხულისათვის საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში არსებობდა ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. „სპარტაკის“ ორგანიზაციებს ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ დამყარებული, მაგრამ იმ დროისთვის არ ჰყავდათ ერთი საერთო ხელმძღვანელი ცენტრი.

„სპარტაკის“ თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტებმა, ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს 1919 წლის ზაფხულში არალეგალურად მოეწვიათ საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების ყრილობა, რომელიც აირჩევდა ცენტრალურ კომიტეტს და დასახავდა ღონისძიებებს შემდგომში მუშაობის გასაშლელად. მაგრამ ყრილობის მოწვევა არ მოხერხდა. ყველა დელეგატი ჯერ არცკი იყო თბილისში ჩამოსული, რომ ცნობილი გახდა: მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო პოლიციამ — კედიას საგანგებო რაზმმა იცოდა ყრილობის მოწვევის ამბავი.

საქართველოში საშინელი მენშევიკური რეაქცია მძვინვარებდა. როგორც ბოლშევიკური პარტიის წევრთა, ისე „სპარტაკის“ აქტივისტების დიდი ნაწილი საპატიმროებში იჯდა, გარეთ დარჩენილებსაც სასტიკად სდევნიდნენ. ცხადია, ასეთ პირობებში ყრილობის მოწვევა უაღრესად სახიფათო იყო.

ასე ჩაიფუშა საქართველოს „სპარტაკის“ ორგანიზაციების ყრილობის მოწვევის პირველი ცდა.

საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობა მოწვეულ იქნა 1920 წლის 25 აგვისტოს — მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და კომკავშირს ლეგალური არსებობის უფლება ეძლეოდათ; მათ კრების, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაც უნდა მინიჭებოდათ.

მენშევიკურმა მთავრობამ მალე დაარღვია ეს ხელშეკრულება და კვლავ დაიწყო რეპრესიები.

ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლისთანავე შეიქმნა საქართველოს კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი ბორის ძნელაძის მეთაურობით.

დაიწყო ყრილობის მოსაწვევად მზადება.

„სპარტაკის“ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით, მე, როგორც ამ კომიტეტის წევრმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე „სპარტაკის“ ხონის (ამჟამად წულუკიძე) რაიონული კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციამ მე და „სპარტაკის“ რაიკომის თავმჯდომარე სერგო ბახტაძე ყრილობის დელეგატებად აგვირჩია.

ყრილობის მოწვევა შეთანხმებული იყო მენშევიკურ მთავრობასთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ შეასრულა დაპირება და ყრილობის მუშაობაში უხეშად ჩაერია.

საქართველოს კომკავშირის პირველ „ლეგალურ“ ყრილობას 43 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი მუშაკები. იგი გახსნა ბორის ძნელაძემ. ყრილობა გაიხსნა ყოფილი „როსსოვეტის“ შენობაში (ეს შენობა კ. მარქსისა და ათონელის ქუჩების კუთხეში მდებარეობს). ყრილობამ უამრავი მოსალოცი დეპეშა მიიღო პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებისაგან. მოსკოვიდან მისალმება გამოგზავნა საქა-



ბორის ძნელაძე

რთველოს კომკავშირის დიდმა მოამაგემ მიხა ცხაკაიამ.

ყრილობამ, თავის მხრივ, მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს, წითელ არმიას, საქართველოს და აზერბაიჯანის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მიხა ცხაკაიას.

ყრილობის განსახილველად წარმოდგენილი იყო 12 საკითხი: მიმდინარე მომენტი და კომკავშირის ამოცანები; დროებითი ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; მოხსენებები ადგილებიდან; მუშაობა ახალგაზრდობას შორის; სოფლად მუშაობა; ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობა; პარტიასთან ურთიერთობა; კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა; ახალგაზრდობის ინტერნაციონალის შესახებ; არჩევნები და სხვ.

გაიხსნა თუ არა ყრილობა, დარბაზში შემოვიდნენ მენშევიკური მთავრობის საიდუმლო პოლიციის აგენტები, რამაც აღაშფოთა დელეგატები.

ბორის ძნელაძემ მისთვის ჩვეული გამბედაობით განაცხადა: „დღეს ჩვენ ყრილობას უჩვეულო ვითარებაში ვხსნით. აქ დღეს თავს დაგვტრიალებენ კედიას აგენტები. მაგრამ მალე ჩვენ ნამდვილ ლეგალურ ყრილობას იქ გავხსნით, სადაც მენშევიკების დამფუძნებელი კრების სხდომები ტარდება“*.

* ბორის ძნელაძის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. საქართველოს კომკავშირის ნამდვილი პირველი ლეგალური ყრილობა მოწვეულ იქნა 1921 წლის აგვისტოში, — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ყრილობა გაიხსნა იმ დარბაზში, სადაც ტარდებოდა მენშევიკების დამფუძნებელი კრების სხდომები. ეს ყრილობა ბ. ძნელაძემ გახსნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლაპარაკობენ კომკავშირის ვეტერანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა მარიამ ორახელაშვილი, პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით — ნესტორ ცერცვაძე, ძველი მუშა-ბოლშევიკების სახელით — არაქელ ოქუაშვილი.

ამის შემდეგ ბ. ძნელაძემ საიდუმლო პოლიციის აგენტებს დარბაზიდან გასვლა მოსთხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო: ჩვენ აქ ყრილობის მუშაობისათვის კონტროლის გასაწევად ვართ გამოგზავნილიო. ამან კიდევ უფრო აღაშფოთა დელეგატები. ბ. ძნელაძემ საიდუმლო პოლიციის აგენტებს ყრილობის სახელით სთხოვა ცოტა ხნით დაეტოვებინათ დარბაზი, რომ ყრილობას მათ დაუსწრებლად გადაეწყვიტა საკითხი: განეგრძო თუ არა მუშაობა ასეთ პირობებში. კედიას რაზმელებმა დროებით დატოვეს დარბაზი. ყრილობამ სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაგზავნა მენშევიკურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციას საგანგებო რაზმის წარმომადგენლების დაუსწრებლად ყრილობის მუშაობის განგრძობის ნებართვა უნდა მოეთხოვა.

არ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ მენშევიკური მთავრობა ჩვენს კანონიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და სასწრაფოდ გადავწყვიტეთ ზოგიერთი გადაუდებელი საკითხი. უპირველესად, ავირჩიეთ ცენტრალური კომიტეტი შვიდი წევრისა და სამი კანდიდატის შემადგენლობით.

ყრილობამ აირჩია დელეგაცია აზერბაიჯანში საბჭოთა მშენებლობისა და ახალგაზრდობის მოძრაობის გასაცნობად. განვიხილეთ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის — 5 სექტემბრის ფართოდ აღნიშვნის საკითხი. მივიღეთ დადგენილება ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის შესვლის შესახებ და ინტერნაციონალში საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლად ბ. ძნელაძე ავირჩიეთ.

დანარჩენი საკითხების განხილვა ყრილობამ ვერ მოასწრო, რადგან დარბაზში კვლავ შემოიჭრნენ საიდუმლო პოლიციის აგენტები. ამასობაში, დელეგაციაც დაბრუნდა და ყრილობას მოახსენა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ყრილობის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ყრილობამ ერთხმად მიიღო მენშევიკური მთავრობისადმი პროტესტის ტექსტი, რომელიც შემდეგ ყველა მუშათა რევოლუციურ ორგანიზაციას, ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს და, ამ უკანასკნელის საშუალებით, საერთაშორისო მუშა ახალგაზრდობას დაეგზავნა. ამის შემდეგ ყრილობა იძულებული იყო მუშაობა შეეწყვიტა.

ყრილობის დაშლის მეორე დღეს დელეგატები ახალარჩეული ცენტრალური კომიტეტის ბინაში შეიკრიბნენ, რომ მიეღოთ დირექტივები შემდგომი მუშაობისათვის. უეცრად ბინაში კედიას საგანგებო რაზმის აგენტები შემოიჭრნენ და ბორის ძნელაძე დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ იგი ბაქოში გადაასახლეს. დევნა დაუწყეს ყრილობის დელეგატებსაც. ძნელაძის დაპატიმრების გამო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა პროტესტი გამოაქვეყნა. ბ. ძნელაძის დაპატიმრებისა და გადასახლების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებს და ყველა ძლიერ აღაშფოთა.

საქართველოს რესპუბლიკური არქივიდან



საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის I გაფართოებული კონფერენციის დელეგატები. 25 მარტი

თუმცა ყრილობამ დღის წესრიგის ყველა საკითხის განხილვა ვერ მოასწრო, მან მაინც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში. ამ ყრილობაზე მთელი საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის აქტივისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

ყრილობამ საქართველოს მშრომელებს თვალნათლივ დაანახვა, თუ რა იყო სინამდვილეში მენშევიკური „დემოკრატია".

პირველმა „ლეგალურმა" ყრილობამ ისტორიული მნიშვნელობის საქმე გააკეთა — მენშევიკური ხელისუფლების მძიმე პირობებში საქართველოს კომკავშირი ერთ მძლავრ რევოლუციურ ორგანიზაციად გააერთიანა.

მიხეილ ბახტაძე,
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

# ქარიშხლიანი დღეების მოგონებანი

ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, მარქსისტული ლიტერატურის პირველ წყაროებს რომ გავეცანი. ყოველთვის მადლიერებით ვიგონებ ძველ ბოლშევიკებს: კორნელ ქაცარავას, საშა გეგეჭკორს, ვალია ბახტაძეს, ლ. ნადარეიშვილს, გ., ს. და პ. ბახტაძეებს, კ. წვერავას, ს. კარტოზიას და სხვებს, რომლებმაც საშუალება მომცეს წამეკითხა და სწორად გამეგო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ვ. ი. ლენინის „თეზისები თანამედროვე ომზე", ს. წულუკიძის „ოცნება და სინამდვილე", „პოლიტიკური ეკონომიის ანბანი" და მარქსისტული ლიტერატურის სხვა ნიმუშები. ეს 1916 წელს მოხდა. მე მაშინ ხონის სამასწავლებლო სემინარიაში ვსწავლობდი. ამავე წლის დეკემბერში სემინარიელთა გაფიცვაში მივიღე მონაწილეობა, 1917 წლის ივლისში კი ბოლშევიკური პარტიის წევრი გავხდი.

ამრიგად, საქართველოში ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკის" შექმნას მე უკვე იდეურად მომზადებული შევხვდი.

მაგრამ მარტო წიგნებმა როდი მიმიყვანა რევოლუციურ იდეებთან. კარგად მახსოვდა 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი დღეები, როცა სხვა ფეხშიშველა ბავშვებთან ერთად, მეც, ხის თოფით შეიარაღებული, დემონსტრანტებს უკან დავდევდი „მარსელიოზის" სიმღერით. შემდეგ კი საკუთარი თვალით ვნახე და განვიცადე შავი რეაქციის მთელი საშინელება. სკოლაში რომ შევედი, უკვე აკრძალული იყო სიტყვები: „რევოლუცია", „თავისუფლება", „ერთობა", „ძმობა", „ამხანაგობა", აკრძალული იყო სიმღერები — „მარსელიოზა", „ძირს მეფის ტახტი", „შურისძიების დროშა აღვმართოთ"...

1917 წლის ოქტომბრისათვის ხონში უკვე ჩამოყალიბებული იყო „სპარტაკის" უჯრედები. საჭირო იყო საქალაქო-სარაიონო ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა. ამ მიზნით, ბოლშევიკური პარტიის ხონის კომიტეტმა „სპარტაკის" დამფუძნებელი კონფერენცია მოიწვია. კონფერენციამ აირჩია „სპარტაკის" ხონის კომიტეტი სერგო ბახტაძის, პლატონ წულაიას და ჩემი შემადგენლობით. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ს. ბახტაძე, მდივნად — მე. 1920 წლიდან თავმჯდომარეობა მე დამევალა.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს ბოლშევიკური პარტიის ხონის კომიტეტმა კომუნისტების დიდი თათბირი მოიწვია, რომელზეც განხილულ იქნა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შედეგები. თათბირის გადაწყვეტილებით, დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობის გასაცნობად, ბოლშევიკური პარტიის წევრებთან ერთად, აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში აქტიურად ჩაებნენ „სპარტაკელებიც". მე წილად მხვდა აბაშის რაიონში ჩასვლა. აბაშაში 12 დღე დავყავი და შეძლებისდაგვარად შევასრულე პარტიის სერიოზული დავალება.

ხონში რომ დავბრუნდი, იქ სწორედ იმ დღეს ტარდებოდა მშრომელთა დიდი მიტინგი, მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ მიესალმა დიდ ლენინს, საბჭოთა ხელისუფლებას, პეტროგრადის პროლეტარიატს.

ასეთი მიტინგების მოწყობაში ბოლშევიკურ პარტიას დიდი დახმარება გაუწიეს „სპარტაკელებმა".

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ბოლშევიკური მიტინგის უიარაღო მონაწილეთა დახვრეტის შემდეგ, საქართველოს ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად, „სპარტაკი" არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. იმავე ხანებში, სამეგრელოს მომავალი აჯანყებისათვის იარაღის შესაძენად პარტიამ ბათუმში მიმავლინა.

1919 წლის ოქტომბერში „სპარტაკის" ხონის ორგანიზაციამ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი გაფიცვა მოაწყო. ამ გაფიცვის მიზეზი იყო სემინარიელთა საერთო უკმაყოფილება არსებული პირობებით — მატერიალურითაც და უფლებრივითაც. სემინარიელებმა თავიანთი მოთხოვნები მენშევიკური ხელისუფლების ორგანოს — დამფუძნებელ კრებას წარუდგინეს, რომელმაც არათუ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები, სემინარიის დახურვითაც კი დაგვემუქრა. ამ მუქარას ჩვენ გაფიცვით ვუპასუხეთ. ჩვენს გაფიცვას გორის სემინარიელებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს

მხარი. ეს ნამდვილი პოლიტიკური გაფიცვა ორი კვირა გაგრძელდა.

1920 წლის აპრილში მეზობელ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ ამბავმა ქართველი მენშევიკები დიდად აღაშფოთა. მენშევიკურმა ხელისუფლებამ საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა.

კომკავშირის ხონის კომიტეტმა იმას მიაღწია, რომ არცერთ ადგილობრივ ახალგაზრდას არ მიეღო ამ შავბნელ ლაშქრობაში მონაწილეობა. სამაგიეროდ, მოხდა შეტაკებები ხონელ ახალგაზრდობასა და მენშევიკურ გვარდიას შორის. ახალგაზრდობას სახელოსნოების მუშები მიეშველნენ და გვარდიაცა და პოლიციაც უკუაქციეს.

...საქართველოს ნაციონალისტურ-შოვინისტური მთავრობის აღსასრულის დღე ახლოვდებოდა... საქართველოს ბოლშევიკურმა პარტიამ კომკავშირს ახალგაზრდათა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტების შექმნა და „სპარტაკელთა“ დამკვრელი რაზმების ჩამოყალიბება დაავალა და მოუწოდა ყოველმხრივ მომზადებულიყო მშრომელთა

## ლაპარაკობენ კომკავშირის ვეტერანები

მიერ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. პარტიის ხონის კომიტეტის რეკომენდაციით „სპარტაკის“ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ხონის ახალგაზრდობის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ დამნიშნა.

და აი, დადგა გადამწყვეტი დრო...

1921 წლის 16 თებერვალს სამხრეთ საქართველოში (ყოფილ ბორჩალოს მაზრაში) მშრომელებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს და ერთადერთ კანონიერ მთავრობად რევკომი გამოაცხადეს, თან წითელ არმიას დახმარება სთხოვეს: ეს იყო ნიშანი ჩვენი გამოსვლისათვის. წითელი არმიის ნაწილების შემოსვლისათვის არ დაგვიცდია. ხონის კომკავშირულმა რაზმებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მენშევიკური გვარდია და პოლიცია განაიარაღეს. შეიქმნა მშრომელთა ხელისუფლების ორგანო-რევკომი, რომლის შემადგენლობაშიც ახალგაზრდობის წარმომადგენლად ბათუმის ციხიდან გამოქცეული პლატონ წულაია შევიყვანეთ.

კომკავშირის ხონის კომიტეტმა შეიარაღებული რაზმები ოთხი მიმართულებით გაგზავნა: ქუთაისისკენ, სამტრედიისკენ, სამეგრელოსაკენ, მათხოჯგორდისაკენ. კომკავშირული რაზმები დიდ დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკებსა და მშრომელებს ადგილობრივი მენშევიკებისაგან ქალაქებისა და სოფლების გაწმენდაში, რევკომების შექმნაში, ნანატრი საბჭოთა წყობილების სამუდამოდ დამკვიდრებაში...

მე ჯერ ქუთაისის განთავისუფლებაში მივიღე მონაწილეობა, შემდეგ კი სამეგრელოს აჯანყებული სოფლებისაკენ გავეშურე. სოფელ ონტოფოში რევკომის წევრად ამირჩიეს.

დაიწყო ახალი ცხოვრება — საქართველოს მშრომელი ხალხის სანუკვარი ოცნებების განხორციელების ხანა.

*ვარლამ ნადარეიშვილი,*
*სკკპ წევრი 1917 წლიდან.*

სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კავშირის კონფერენცია. 1924 წ.




ფოტო საქართველოს რესპუბლიკური არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობავ, მედგრად წინ, მაღლა!

## სანდრო ეული (ქურიძე)

შენი გზა ბრძოლის ეტაპებია,
და მატიანე გმირულ ამბების,
შენს მკერდს მტრის ტყვია შეტაკებია,
გამოგივლია ბრძოლა საქები.

ბეწვზე ეკიდა სამშობლოს ბედი,
მოწოდების ხმას შეხვდი ქუხილით,
ახალ ცხოვრებას იცავდი მკერდით,
შენ არ იცოდი სევდა, წუხილი.

შენი გზა შრომის ეტაპებია,
შენი ცხოვრების სიამის წყარო,
დიდ ოკეანეს შემატებიხარ,
რომ გადალეკო ძველი სამყარო.

სამშობლოს გმირის სახელი დაგაქვს,
საგმირო საქმე ვინ დაითვალოს,
ქვეყანას აძლევ სიცოცხლის მარაგს,
შრომის დიდებით ანთებულ კალოს.

ახალგაზრდობავ!
მედგრად, წინ, მაღლა!
ფლობდე ზღვას, ხმელეთს!—
უსაზღვრო სივრცეს!
შენ არ გჩვევია არასდროს დაღლა,
სიახლით ელავ და გული გიცემს,
მიჰქროდე წინ და
სულ მაღლა, მაღლა!

# ლენინური კომკავშირი

## ალიო მირცხულავა

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოლაჟღაჟე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!

კომკავშირი! მარად მხნე და ახალგაზრდა,
ბრძოლით განვლეთ გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გასხივოსნდა, გალამაზდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

აგებს ქარხნებს, ღუმელებში აწრთობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაქრის, უხარია მზისკენ სრბოლა,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

ებრძვის გვალვას და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს,—ოქროს ბაღნარს დაადარებს
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

საყვარელო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს
ყველა შენი გამარჯვება გამიხარდეს,
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,
სიყრმის კერა, არ იქნება არ მიყვარდეს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ—დღეგრძელი,
მხნედ იარე! კომუნიზმის გზა ეს არი,
იზეიმე დაბადების დღე და წელი,
მრავალ ასეთს დღესასწაულს დაესწარი!



# როგორ იწრთობოდა ფოლადი

**ნიკოლოზ ოსტროვსკი** მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

(ნაწყვეტი)

ღამით ჟუხრაის მოულოდნელმა სტუმრობამ და რვა დღის განმავლობაში მასთან ერთად ცხოვრებამ დიდი სარგებლობა მოუტანა პავლეს.

პირველად გაიგო მან მეზღვაურისაგან ბევრი რამ ამაღელვებელი, ახალი და საინტერესო. ეს დღეები გადამწყვეტი დღეები იყო ახალგაზრდა მეცეცხლურის ცხოვრებაში.

მეზღვაური ხაფანგში მომწყვდეულივით იყო იმ ორი ჩასაფრების შემდეგ. მან გამოიყენა ძალაუნებური უსაქმურობა და ქვეყნის დამხრჩობ „ჟოვტო-ბლაკიტნიკებისადმი" თავისი ბრაზი და მწვავე სიძულვილი გადასცა პავლეს. პავლე გულდასმით უსმენდა.

ჟუხრაი ლაპარაკობდა ცოცხლად, მკაფიოდ, გასაგებად, უბრალო ენით. მას ყველაფერი აწონდაწონილი ჰქონდა. მეზღვაურს კარგად ესმოდა თავისი გზა, და პავლე მიხვდა, რომ მთელი ეს ხლართი სხვადასხვა პარტიისა, ლამაზი სახელებით — სოციალისტ-რევოლუციონ ე რ ე ბ ი, სოციალ-დემოკრატები, პოლონეთის სოციალისტური პარტია, — ესენი მუშების ბოროტი მტრები არიან, და მხოლოდ ერთადერთი პარტიაა რევოლუციური, უდრეკი, ყველა მდიდრის წინააღმდეგ მებრძოლი — ბოლშევიკების პარტია.

წინათ პავლე ძალზე იბნეოდა ამ საკითხში.

და დიდი, ძლიერი ადამიანი, მტკიცე ბოლშევიკი, ზღვის ღელვით გაკაჟებული, რსდმპ(ბ) წევრი 1915 წლიდან, ბალტიის მეზღვაური თევდორე ჟუხრაი მოუთხრობდა ახალგაზრდა მეცეცხლურს ცხოვრების მკაცრ სიმართლეს, ახალგაზრდა მეცეცხლური კი ყურს უგდებდა და მოჯადოებული თვალებით შესცქეროდა.

— მეც, ძმობილო, ბავშვობისას შენსავით ვიყავი, — ამბობდა ჟუხრაი. — არ ვიცოდი, როგორ გამომეყენებინა ღონე. ღონე კი დიდი მქონდა. ვერ ვიოკებდი ჩემს ურჩ ბუნებას. ღარიბი ვიყავი. როცა ვუყურებდი ბატონების მაძღარსა და გამოწყობილ შვილებს, სიძულვილი მახრჩობდა. მე მათ ხშირად ვცემდი უწყალოდ, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა, გარდა იმისა, რომ მამაჩემი საშინლად მცემდა. მარტო რომ იბრძოლო, ცხოვრებას ვერ გადააბრუნებ. შენ, პავლუშა, ყველაფერი გაქვს იმისათვის, რომ მუშათა საქმისათვის კარგი მებრძოლი გამოხვიდე. მხოლოდ ძლიერ ახალგაზრდა ხარ და კლასობრივ ბრძოლაზე ძალიან სუსტი წარმოდგენა გაქვს. მე შენ, ძმობილო, გიამბობ ნამდვილი გზის შესახებ, რადგან ვიცი, რომ კაცი დადგები. ვერ ვიტან ბობინებსა და ქოჩორგადასლექილებს. ახლა მთელ დედამიწაზე ხანძარი გაჩნდა. აჯანყდნენ მონები და ძველი ქვეყანა უნდა ჩაძირონ. მაგრამ ამისათვის საჭიროა მამაცი და არა განებივრებული ახალგაზრდობა, საჭიროა მტკიცე ხალხი, რომელიც შეტაკების წინ როდი მიძვრება ხვრელში, როგორც ხოჭო, რომელიც სინათლეს ემალება, არამედ შეუბრალებლად ურტყამს.

მან ღონივრად დაარტყა მაგიდას ხელი.

ჟუხრაი ადგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, წარბი შეიკრა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

თევდორეს აწუხებდა უმოქმედობა. ძალზე წუხდა, რომ ამ პატარა ქალაქში დარჩა. შემდეგში აქ დარჩენა უსარგებლოდ მიაჩნდა, მტკიცედ გადაწყვიტა, გადაეპარა ფრონტი და წითელ არმიას შეერთებოდა.

ქალაქში რჩებოდა ცხრა პარტიელისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც მუშაობა უნდა ეწარმოებინა.

„თქვენ უჩემოდაც იმუშავებთ. მე კი მეტი არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვიჯდე. კმარა, ისედაც ათი თვე დავკარგე", — ფიქრობდა შეწუხებული ჟუხრაი.

— ვინა ხარ შენ, თევდორე? — ჰკითხა ერთხელ პავლემ.

ჟუხრაი ადგა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. უცბად ვერ მიხვდა შეკითხვას.

— განა არ იცი, ვინა ვარ?

— მე ვფიქრობ, შენ ან ბოლშევიკი ხარ, ან კომუნისტი, — წყნარად უპასუხა პავლემ.

ჟუხრაი გაეცინა და ხუმრობით ხელი ჩაიკრა ფართო მკერდში, რომელსაც ზოლებიანი მაისური შემოსალტოდა.

— ეს ცხადია, ძმობილო! — ეს ისეთივე ფაქტია, როგორც ის, რომ ბოლშევიკი და კომუნისტი ერთი და იგივეა. — და უცებ სერიოზულ კილოზე გადავიდა. — რადგან ეს გესმის, იცოდე, რომ არავის არა-

ხოდეს არ უნდა უთხრა ეს, თუ არ გინდა გამომშიგნონ. გაიგე?

— გავიგე, — მტკიცედ უპასუხა პავლემ.

ეზოში ხმები მოისმა. არ დაუკაკუნებიათ, ისე გააღეს კარი. ჟუხრაის ხელი სწრაფად წავიდა ჯიბისაკენ, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდა. ოთახში შემოაბიჯა თავშეხვეულმა სერიოჟა ბრუზჟაკმა, გამხდარმა, უფერულმა. მას მოსდევდნენ ვალია და კლიმკა.

— გამარჯობა, ქაჯო! — და სერიოჟამ ღიმილით ჩამოართვა ხელი პავკას, — სამივე სტუმრად გეახელით. ვალია მარტო არ მიშვებს, ეშინია. კლიმკა კი ვალიას არ უშვებს მარტოკა, იმასაც ეშინია. კლიმკა თუმცა „წითურია“, მაგრამ ეს მაინც ესმის, ვისი გაშვება შეიძლება მარტოდმარტო და სად.

ვალიამ ხუმრობით დააფარა პირზე ხელი.

— უი, რა უბედია, — გაიცინა ვალიამ. — არ ასვენებს დღეს კლიმკას.

კლიმკამ გულკეთილად გაიცინა, თეთრი კბილები გამოაჩინა.

— რა უნდა მოჰკითხო ავადმყოფს? გოგრა გაფუჭებული აქვს და არეულად ლაპარაკობს.

ყველას გაეცინა.

სერიოჟა ჯერ კიდევ ვერ მომაგრებულიყო ჭრილობისაგან. პავკას ლოგინზე მოიკალათა და ჩქარა მეგობრებს შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. სერიოჟა, რომელიც ყოველთვის მხიარული იყო და მოწყენა არ იცოდა, ახლა დაწყნარებული ჩანდა და სევდიანი. იგი უამბობდა ჟუხრაის, თუ როგორ დაჭრა პეტლიურელმა.

ჟუხრაი სამივეს იცნობდა. არაერთხელ ყოფილა ბრუზჟაკებთან. მოსწონდა ეს ახალგაზრდები, რომელთაც ცხოვრების ორომტრიალში ჯერ კიდევ ვერ მოეძებნათ თავისი გზა, მაგრამ ნათლად გამოხატავდნენ თავისი კლასის მისწრაფებას. ყურადღებით ისმენდა ყმაწვილების საუბარს იმაზე, თუ როგორ მალავდნენ ებრაელების ოჯახებს და იცავდნენ რბევისაგან. ამ საღამოს ის ბევრს ლაპარაკობდა ბოლშევიკებზე, ლენინზე და ყოველ მათგანს ეხმარებოდა გარკვეულიყო მომხდარ ამბებში.

პავლემ სტუმრები გვიან საღამოს გააცილა.

ჟუხრაი საღამოობით მიდიოდა და ღამე ბრუნდებოდა. გამგზავრების წინ ამხანაგებს, რომლებიც რჩებოდნენ, სამუშაოების გეგმებს უთანხმებდა.

ამ ღამეს ჟუხრაი არ დაბრუნებულა. დილით რომ გაიღვიძა, პავლემ ცარიელი ლოგინი დაინახა. რაღაც გაურკვეველმა წინათგრძნობამ მოიცვა კორჩაგინი. ადგა, საჩქაროდ ჩაიცვა და გავიდა სახლიდან. სახლი დაკეტა, გასაღები დანიშნულ ადგილას შეინახა და კლიმკასთან წავიდა, — იმედი ჰქონდა, მისგან გავიგებ რამეს თევდორეზეო. კლიმკას დედა დაბალი, პირფართე ქალი იყო, ნაყვავილარი. ის სარეცხს რეცხავდა და კორჩაგინის შეკითხვაზე, თევდორე ხომ არ გინახავსო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა:

— მეტი საქმე არა მაქვს, რომ შენს თევდორეს ვადევნო თვალყური! იმის გულისათვის, იმ უშნოს გულისათვის, ზაზულიხას მთელი სახლი აუქოთეს. შენ რაში გესაჭიროება ის? რა გაქვს მასთან საერთო? კარგი ამხანაგები შეკრებილხართ: კლიმკა, შენ... — გაბრაზებული ჩიჩქნიდა საცვლებს.

მწარე ენა ჰქონდა კლიმკას დედას, ანჩხლი იყო.

კლიმკასაგან სერიოჟასკენ წავიდა პავლე. უამბო თავისი ეჭვები. საუბარში ვალია ჩაერია.

— რატომ სწუხხარ? იქნებ ნაცნობებთან დარჩა. — მაგრამ ვალიას ხმაში დამაჯერებლობა არ იყო.

ვერ გაჩერდა პავლე ბრუზჟაკებთან. წავიდა, თუმცა ძალიან სთხოვდნენ სადილად დარჩენილიყო.

უახლოვდებოდა სახლს, იმედი ჰქონდა ჟუხრაის ნახავდა.

კარს ბოქლომი ედო. მძიმე გრძნობით შეჩერდა: არ უნდოდა ცარიელ ბინაში შესვლა.

რამდენიმე წუთს იდგა ეზოში, ფიქრობდა; რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ აიძულა ფარდულისაკენ წასულიყო. სხვენზე აძვრა, აბლაბუდას მაქმანი მოიშორა და კუთხიდან ჩვრებში გახვეული მძიმე „მანლიხერი“ გამოათრია.

გამოვიდა ფარდულიდან და ჯიბეში რომ რევოლვრის ამაღელვებელი სიმძიმე იგრძნო, სადგურზე წავიდა.

ვერც იქ ვერაფერი გაიგო ჟუხრაისა და უკან გამობრუნდა.

...ჟუხრაის დაკარგვა და ბინაში მოსალოდნელი მარტოობა ძალიან აწუხებდა. რუხი გზატკეცილი, რომელზედაც ჯერ კიდევ არ ამშრალიყო გაზაფხულის ტალახი, მარჯვნივ უხვევდა. ოღრო-ჩოღრო გზატკეცილი შავ-წითელი ტლაპოთი იყო სავსე.

უაზროდ გამოწეულ სახლს იქით, რომელსაც შემოქერცლილი კედელი ჰქონდა, ორი ქუჩა ერთდებოდა. გზაჯვარედინზე, დანგრეულ, კარებჩამტვრეულ ფარდულთან, რომელზედაც თავდაყირა ეკიდა აბრა წარწერით: „მინერალური წყლებით სავაჭრო“, იდგა ვიქტორ ლეშჩინსკი და ლიზას ეთხოვებოდა.

ვიქტორმა ლიზას ხელები დაუჭირა, თვალებში გრძნობით ჩახედა და უთხრა:

— მოხვალთ? არ მომატყუებთ?

ლიზამ მანჭვით უპასუხა:

— მოვალ, მოვალ, დამიცადეთ!

წასვლისას გაუღიმა წაბლისფერი მიბნედილი თვალებით, რომელიც ბევრ რამეს უქადდა.

ათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ ლიზამ დაინახა, რომ გზატკეცილის მოსახვევიდან ორი კაცი გამოვიდა, წინ მოდიოდა ფართომკერდიანი ჩაფსკვნილი მუშა, პიჯაკგაღეღილი, საიდანაც ზოლებიანი მაისური მოუჩანდა. მუშას შავი კეპი ჰქონდა ჩამოფხატული. ცალი თვალი დალილავებოდა ცემისაგან.

ოდნავ მოღუნულ ფეხებზე ყვითელი, მოკლეყელიანი ჩექმები ეცვა. მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა.

მუშას უკან, სამ ნაბიჯზე, პეტლიურელი მოჰყვებოდა. მას ხიშტი მუშისთვის ზურგში მიებჯინა. რუხი კაბაჩა ეცვა, ქამარზე ორი სავაზნე ჰქონდა.

ფაფახს ქვეშიდან პატიმრის კისერს ორი წვრილი, გაფაციცებული თვალი უყურებდა, პეტლიურელს წეკოსაგან გაყვითლებული ულვაშები აქეთიქით გაებზიკა.

ლიზამ ნაბიჯს უკლო და გზატკეცილის მეორე მხარეს გადავიდა. მის უკან პავლე მოდიოდა.

სახლისაკენ რომ მოუხვია მარჯვნივ, იმანაც დაინახა ის ორი კაცი.

ადგილზევე გაშეშდა. პავლემ მაშინვე იცნო — წინ რომ კაცი მოდიოდა, ჟუხრაი არ იყო?

„აი, თურმე რატომ არ დაბრუნდა!“

ჟუხრაი უკვე ახლოს იყო. კორჩაგინს გულისცემამ უხშირა. ერთიმეორეს მისდევდა აზრები, არ შეიძლებოდა მათი შეჩერება და დალაგება. ძალზე ცოტა დრო იყო, რომ რაიმე გადაეწყვიტა. ერთი რამ კი ცხადი იყო, ჟუხრაი დაიღუპა.

პავლე უყურებდა ჟუხრაისა და ჯარისკაცს და ვერ გარკვეულიყო იმ ათას გრძნობაში, მას რომ აღეძრა.

„როგორ მოვიქცე?“.

უკანასკნელ წუთს გაახსენდა: ჯიბეში რევოლვერი უდევს. როგორც კი მოუახლოვდებიან, ზურგ-

მი ესვრის აი, იმას, შაშხანიანს, და მაშინ თევდორე თავისუფალი იქნება. ნაუცბათევმა გადაწყვეტილებამ ფიქრების ქარავანი შეაჩერა. ისე მაგრად დააჭირა კბილები ერთმანეთს, რომ ეტკინა. გუშინ არ იყო, თევდორე რომ ეუბნებოდა: ამისათვის მაგარი ბიჭებია საჭიროო!

პავლემ სწრაფად მიიხედა უკან. ქალაქისაკენ მიმავალი ქუჩა თავისუფალი იყო. არავინ ჭაჭანებდა. წინ მიიჩქაროდა ქალი, რომელსაც საგაზაფხულო მოკლე პალტო ეცვა. ქალი ვერ შეუშლის ხელს. გზაჯვარედინიდან განზე მიმავალ მეორე ქუჩას ის ვერ ხედავდა. მხოლოდ შორს, შორს, სადგურისაკენ მიმავალ გზაზე, მოჩანდა ადამიანების ფიგურები.

პავლე მიუახლოვდა გზატკეცილის ნაპირს, ჟუხრაიმ თვალი მოჰკრა კორჩაგინს, როცა ის რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდა.

ცალი თვალით შეხედა. შეერხა სქელი წარბები. იცნო და მოულოდნელობისაგან ნაბიჯს უკლო. ზურგი ხიშტის წვერს შეეხო.

— ეი, შენ, გაინძერი, თორემ კონდახს გთხლიშავ! — დაუყვირა მებადრაგემ მკაცრად.

ჟუხრაიმ ნაბიჯს უმატა. რაღაც უნდოდა ეთქვა პავლესთვის, მაგრამ თავი შეიკავა და თითქოს მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია.

პავლეს შეეშინდა, წითურულვაშამ ყურადღება არ მომაქციოსო და ჟუხრაის რომ ჩაუარა, განზე გაიხედა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რაც ხდებოდა.

მაგრამ თავში ბურღივით უტრიალებდა აზრი:

„ჯარისკაცს რომ ვესროლო და ავაცდინო, ტყვია შეიძლება ჟუხრაის მოხვდეს“.

განა შეიძლებოდა კიდევ ფიქრი, როცა პეტლურელი უკვე გვერდით იყო?

და მოხდა ასე: პავლეს გაუსწორდა წითურულვაშა ჯარისკაცი; კორჩაგინი მოულოდნელად ეცა მას, სტაცა ხელი შაშხანას და ძლიერი მოქნევით მიწას მიაბჯინა.

ხიშტმა ჭახანი გაადინა ქვაზე.

პეტლურელი არ მოელოდა თავდასხმას და წუთით დაიბნა, მაგრამ მაშინვე მთელი ძალ-ღონით თავისკენ მოსწია შაშხანა. პავლე მთელი ტანით დააწვა შაშხანას და არ გაუშვა. შაშხანამ დაიჭექა. ტყვია ქვას მოხვდა, დაიწივლა. რიკოშეტით გახტა არხისაკენ.

სროლის ხმაზე ჟუხრაი განზე გახტა და მობრუნდა. მებადრაგე, რაც



ძალ-ღონე ჰქონდა, ცდილობდა წაერთმია შაშხანა პავლესათვის, ატრიალებდა მას და ხელებს უკრუნჩხავდა ჭაბუკს. მაგრამ პავლე ხელიდან არ უშვებდა შაშხანას. მაშინ გაბრაზებულმა პეტლურელმა მძაფრი მოქნევით წააქცია პავლე მიწაზე. მაგრამ ვერც ამ ხერხით გაათავისუფლა შაშხანა. რომ დაეცა, პავლემ თან გადიტანა მებადრაგე. არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც აიძულებდა პავლეს ხელი შეეშვა შაშხანისათვის ასეთ წუთში.

ორი ნახტომი და, ჟუხრაი წაქცეულთა გვერდით გაჩნდა. მისმა რკინის მუშტმა წრე მოხაზა და მებადრაგის თავზე დაეშვა, ერთ წამში მოაშორა ჟუხრაიმ მებადრაგე კორჩაგინს და ორჯერ მძლავრად ჩაარტყა სახეში. პეტლურელი მძიმე ტომარასავით ჩაგორდა არხში.

იმავე ძლიერმა ხელებმა ასწია პავლე მიწიდან და ფეხზე დააყენა.



10663



ფოტორეპორტაჟი
დენიზა გოზალიშვილისა
და
ნოდარ
ჭუმბურიძისა.

XIII-XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია ხევში, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს „ხევისბერ გოჩაში" აქვს აღწერილი.

# „კომკავშირ







თბილისელთა ჯგუფი სამების მთაზე. მოჩანს დაბა ყაზბეგი.

სნოს ხეობა. შუასაუკუნეებში აშენებული ლუდუშაურიანთ ციხე.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს მოსწავლეთა პირველი მაღალმთიანი ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა, რომელიც განათლების სამინისტროს ტურისტულ-საექსკურსიო სადგურმა მოაწყო. მოლაშქრეებმა მიზნად დაისახეს თრუსოს ხეობაში უსახელო მწვერვალის დაპყრობა, სხრკ ტურისტის ნიშანზე ნორმების ჩაბარება, ყაზბეგის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გაცნობა და ქართველი კლასიკოსის ალ. ყაზბეგის შემოქმედებისა და ცხოვრების შესწავლა. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის, ქუთაისის, გუდაუთის, ახმეტის, ლაგოდეხის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. მოლაშქრეებმა დაიპყრეს 3400 მეტრი სიმაღლის მწვერვალი, რომელსაც „ლენინური კომკავშირის 50 წელი" უწოდეს. ფეხით გაიარეს: თრუსოს, მნას, სნოს, ხევის, ჯარეჯის ხეობები. გაეცნენ მოხევეთა ყოფას; მოაწყეს ლიტერატურული საღამოები. მონაწილეებმა ლაშქრობის საინტერესო ეპიზოდები საველე გაზეთებში ასახეს. მთელი ლაშქრობა კი, ფირზე აღიბეჭდა.



ვაშა! მწვერვალი დაპყრობილია. დღეიდან მას „კომკავშირის 50 წელი" ერქმევა.

50





ყაზბეგელ მოსწავლეთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მთამსვლელი ზურაბ ქირიკაშვილი.

მოლაშქრეებმა მწვერვალზე ქვის ნიში დადგეს და შიგ ბარათი დატოვეს.







თრუსოს ხეობაში.

მოხევეთა უძველესი სოფელი ფანშეტი.

მხნედ მოაბიჯებენ მოლაშქრენი ჯამარაის ხეობაში



პეტრე
შამათავა

# მათ ასახელეს მშობ

ჩემს საფრონტო ჩანაწერებში მრავალი ახალგაზრდა ქართველი მეომრის მამაცური ბრძოლის ეპიზოდია აღწერილი. მე იმ სახელოვან თანამემამულეებთან საბრძოლო თანამეგობრობა მაკავშირებდა, ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი, ზოგიერთის მამაცობის ამბავი კი ფრონტის მოწინავე ხაზზე გამიგონია.

ამ მრავალთაგან გესაუბრებით რამდენიმე ქართველ კომკავშირელზე, რომლებმაც გერმანელ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში მამულის უსაზღვრო სიყვარული გამოავლინეს და ვაჟკაცური შემართებით მშობელი ერი ასახელეს.

## ყოჩაღი მებრძოლი

უკვე მეორე წელი იწურებოდა, რაც კომკავშირელმა ივანე ბურდულაძემ საბრძოლო ნათლობა მიიღო. თეთრწყაროელი ჭაბუკი ჯერ მოსკოვის მისადგომებთან ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს, შემდეგ კი ომის ქარიშხალმა მშობლიური კავკასიის დაცვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გადმოისროლა.

ორი წლის მანძილზე ბევრი სიძნელე და გაჭირვება ნახა ივანე ბურდულაძემ, ბრძოლაში წარმატების სიხარულიც ბევრჯერ განიცადა. გამბედაობისა და მოხერხებულობისათვის ასეულში მას ყველანი პატივს სცემდნენ — თანამებრძოლებიცა და მეთაურიც. ივანე მუდამ ზედმიწევნით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს და ყოველდღიურად იმდიდრებდა ჯარისკაცულ ბიოგრაფიას.

ერთხელ, მსროლელ ასეულს ერთერთი უსახელო მაღლობის აღება დაევალა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას ნაწილში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, დანიშნულ დროს ქვეგანაყოფმა იერიში დაიწყო.



ი. ბურდულაძე.



თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. ადგილმდებარეობასთან შეხამებული ოცეულები წინ მიიწევდნენ. მაგრამ მტერმა მალე შენიშნა ისინი და ყველა სახის იარაღით ტყვია დაუშინა. განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგზე მძლავრობდა მისი ცეცხლი: ოსტატურად შენიღბული ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტი ამოქმედდა მოულოდნელად. მისი მცელავი ჯერი ჯერზე მოდიოდა...

მოიერიშეთა წინსვლა შეფერხდა. ასეული იძულებული გახდა შუა გზაზე სახელდახელოდ ჩასაფრებულიყო. პირველი ცდა, როგორმე ჩაეხშოთ მტრის საცეცხლე წერტი, წარუმატებლად დამთავრდა. მაშინ მეთაურმა ივანე ბურდულაძე იხმო.

— ხომ ხედავ, ივანე, — უთხრა მეთაურმა, — იმ წყეული ტყვიამფრქვევის წყალობით ასეული თავს ვერა სწევს მაღლა. დიდი მსხვერპლის ფასად იერიშის გაგრძელებას კი აზრი არა აქვს. მაღლობი უსათუოდ უნდა ავიღოთ. ახლა შენზეა დამოკიდებული ჩვენი იერიშის წარმატება. მტრის ტყვიამფრქვევი უნდა ჩააჩუმო. იმედი მაქვს, რომ ამ ძნელ საქმეს მოაგვარებ. აბა შენ იცი!..

ივანე ბურდულაძე შეუდგა დავალების შესრულებას. მან ფრთხილად დაზვერა საცეცხლე წერტამდე მისასვლელი გზები და იმ მხარისაკენ გამართა ხოხვით, სადაც ტყის ზოლი იწყებოდა. ტყეში უვნებლად შევიდა. იქ მოხერხებულად გამოიყენა ხეთა ჩრდილები და ხიდან ხემდე სირბილით კვლავ წინ გასწია. სმენაცა და მხედველობაც უკიდურესად დაძაბა, რომ მოულოდნელად არ გადაჰყროდა ჩასაფრებულ მტრებს, ან მოთვალთვალეს მისთვის თვალი არ მოეკრა. მალე, მოწინააღმდეგეს დაუცველი მხრიდან მიეპარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ᲔᲡᲘ ᲔᲠᲘ

მიზანი სულ ახლოს იყო. იქვე, ივანესაგან მარცხნივ, ჰიტლერელთა დაზგის ტყვიამფრქვევი კვლავ ისროდა, ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადაჰქონდა ცეცხლი. ზოგჯერ ივანეს თავზეც გაიწივლებდა ტყვია.

უშიშარი მებრძოლი ბუჩქნარში გახოხდა, ავტომატი მოიმარჯვა და, ის იყო პირველი ჯერი უნდა გაეშვა საცეცხლე წერტისაკენ, რომ გაახსენდა: ორი ცალი „ჯიბის არტილერია“ — ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ქონდა თან. ყუმბარას აფეთქების ძალაცა და მოქმედების რადიუსიც მეტი ექნებოდა, თანაც ავტომატის ტყვიები დაეზოგებოდა.

ბურდულაძემ თვალისდახამხამებაში გახსნა ყუმბარის ბუდე, ყუმბარა ფრთხილად დამუხტა და საცეცხლე წერტს სტყორცნა. მერე მეორე ყუმბარაც მიაყოლა...

ზედიზედ გაისმა აფეთქების ხმები...

საზრიანი მებრძოლის მარჯვედ ნატყორცნმა ყუმბარებმა საცეცხლე წერტი დალეწა და სამუდამოდ ჩააჩუმა სიკვდილის მთესავი მძიმე ტყვიამფრქვევი.

შეტევისათვის გზა ხსნილი იყო. ასეული სწრაფად ამოვარდა სანგრებიდან და მტრის პოზიციებს ეკვეთა. ივანეც თანამებრძოლებს შეუერთდა და ავტომატი ააკაკანა. შეტევის დროს იგი დაიჭრა, მაგრამ თავისიანებს არ ჩამორჩენია, — სწრაფად შეიხვია ჭრილობა და ისევ წინ გავარდა.

უეცრად ასეულის პოლიტხელი მძიმედ დაიჭრა. მის გვერდით მყოფმა ბურდულაძემ თავისი ჭრილობა არად მიიჩნია, სწრაფად მიეშველა პოლიტხელს, პირველი დახმარება აღმოუჩინა შემდეგ სამშვიდობოზე გაიყვანა, სანინსტრუქტორს ჩააბარა და კვლავ ჩაება ბრძოლაში.

იმ დღეს მსროლელთა ასეულმა თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა — მტერს უსახელო მაღლობი წაართვა. ამ გამარჯვებაში სიმამაცისა და მოსაზრებულობის გამოჩენისათვის მებრძოლი ივანე ბურდულაძე წითელი დროშის ორდენის კავალერი გახდა.

## უშიშარი ჯავშანმტვრეველი



გ. მეიფარიანი.

ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო არტილერია საბჭოთა ფეხოსანი ჯარის საიმედო დამხმარე ძალა იყო ომში. ჩინებული საბრძოლო ტექნიკა და აღჭურვილობა გერმანელთა ტანკებსა და ჯავშნიან მანქანებთან შერკინებისას გულად მეომართა ხელში უზარმაზარ საქმეს აკეთებდა. აი, ერთერთი ამის მაგალითიც.



ის იყო არტილერისტთა ქვეგანაყოფმა ფიცხელი ბრძოლა გადაიხადა, რომ ბრძოლის ველზე კვლავ გამოჩნდა მოწინააღმდეგის ახალი მაშველი ძალები — ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. ისინი ჯიქურ მოდიოდნენ ჩვენების პოზიციებისაკენ.

იმ დღეს აქ კომკავშირელი სერჟანტის გიორგი მეიფარიანის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გათვლაც იბრძოდა.

თუმცა წინა ბრძოლებში მათი ამხანაგებიდან ზოგი დაიჭრა, ზოგიც დაეცა გათვლის მეთაური მეიფარიანი და მემიზნე ოზეროვი მაინც სწრაფად მოემზადნენ საბრძოლოდ, რომ მედგრად დახვედროდნენ ფაშისტთა ურჩხულებს.

გიორგიმ გამოცდილებით იცოდა, რომ ნიშანში ის ტანკი უნდა ამოეღო, რომელიც კოლონას წინ მოუძღოდა და პირდაპირ მისი პოზიციისაკენ მოდიოდა. ამიტომ მან ქვემეხი სწორედ მეწინავე ტანკისაკენ მიმართა, კუთხსაზომი ზუსტად დააყენა და, ოზეროვთან ერთად გაანგარიშების შემდეგ, პირველი ჭურვი გატყორცნა, რამდენიმე გასროლის შემდეგ მათი ოსტატობის შედეგი ნათლად გამოჩნდა: ორი ტანკი ცეცხლში იყო გახვეული, დანარჩენები კი უკუქცეულიყვნენ.

მაგრამ ბრძოლა ამით როდი მოთავდა. ცოტა ხნის შემდეგ მტრის ტანკების ახალი კოლონა გამოჩნდა. ოღონდ, ამჯერად, კონტრშეტევა მარცხენა ფრთიდან წამოეწყოთ. მაინც არ დაიბნენ ჯავშანმტვრეველი ბიჭები. როცა დარწმუნდნენ, რომ სხვა მხრიდან საშიშროება არ ელოდათ, მამაცმა არტილერისტებმა ქვემეხი სანგრიდან ამოიტანეს და მარცხნივ მიაბრუნეს. ყველაფერი ეს ისე სწრაფად გააკეთეს, რომ გათვლის მთლიან შემადგენლობასაც შეშურდებოდა.

ორივე არტილერისტმა ახალ, მძიმე ვითარებაში სამშობლოსათვის თავდადების ნიმუში გვიჩვენეს: ღია პოზიციაზე ქვემეხის ოსტატური მანევრითა და ზუსტი სროლით იმ დღეს, მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეჯახებაში, კიდევ ოთხი ტანკი დაწვეს და დააზიანეს.

მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გამოჩენილი სიმტკიცისა და მამაცობისათვის ქართველი კომკავშირელი გიორგი მეიფარიანი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

## მედროშენი

805-ე მსროლელმა პოლკმა წარმატებით გადალახა კავკასიონი, დალაშქრა დონღუზ-ორუნის უღელტეხილი. დროშაც — პოლკის წმიდათა წმიდა, საბრძოლო დიდების სიმბოლო, საიმედო ადგილას აღიმართა. მაგრამ უღელტეხილის იქით, კავკასიონის ჩრდილოეთი კალთების ძირას, დიდძალი საბრძოლო მარაგი დარჩა.

— ვინ წავა დარჩენილი იარაღისა და აღჭურვილობის გადმოსატანად? ვისა აქვს იმდენი ძალ-ღონე და მოხერხება, რომ ათეულობით კილომეტრი, ხიფათით სავსე გზა გაიაროს და სამი ათას მეტრზე მეტი სიმაღლის უღელტე-



შ. ფხალაძე



ხილი გადალახოს? — ეს საბრძოლო ამოცანა პოლკის ყველა მეომრისაგან მოითხოვდა პასუხს.

მრავალი მებრძოლი აღმოჩნდა წასვლის მსურველი. მათ შორის ახლაც პირველნი იყვნენ შაქრო ფხალაძე და ილია ლუაშვილი — პოლკის ღირსეული მედროშეები.

უთუოდ დაგაინტერესებთ, რა საბრძოლო დამსახურების გამო გახდნენ კომკავშირელი შაქრო ფხალაძე და ილია ლუაშვილი პოლკის დროშის ტარების ღირსნი, რით მოიპოვეს ასეთი საპატიო მეომრული უფლება?

ამ ორი ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მებრძოლის გამბედაობისა და მოხერხებულობის ნათელსაყოფად საკმარისია მათი ერთ-ერთი მეომრული ეპიზოდის გახსენება.

...პოლკის სარდლობამ მეავტომატეთა ასეულს ფრიად სერიოზული დავალება მისცა. ქვეგანაყოფში გულმოდგინედ მოემზადნენ დავალების შესასრულებლად. მტრის ზურგში რეიდისათვის სულ ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები შეარჩიეს. მათ შორის შაქრო ფხალაძე და ილია ლუაშვილიც აღმოჩნდნენ.

საგულდაგულოდ მომზადების შემდეგ მეავტომატე-მზვერავები ღამის სიბნელეში ლანდებივით გაუჩინარდნენ, შეუმჩნევლად გადალახეს მთის შმაგი მდინარე და ნაშუადღევს მტერს ზურგში მოექცნენ.

— ახლა გვჭირდება განსაკუთრებული სიფხიზლე და მოსაზრებულობა, — წასჩურჩულა ილიამ გვერდით მყოფ შაქროს. შაქრომ ვერც კი მოასწრო მეგობრისთვის საპასუხოდ რამე ეთქვა, რომ უეცრად გაისმა გერმანელის გამყინავი შეძახილი: „ჰალტ!". ქართველ მზვერავთა წინ იარაღმომარჯვებული ფაშისტი ოფიცერი აღიმართა. თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობრები. ცხადია, აქ, მტრის გარემოცვაში, სროლა არ შეიძლებოდა. ლუაშვილმა ხერხს მიმართა: ხელები ასწია, რითაც გერმანელს მოაჩვენა ტყვედ გნებდებიო. ამ ხერხით მოტყუებულ, ახლო მისულ ოფიცერს ლუაშვილი მოულოდნელად თავით დაეჯახა, ხოლო ოფიცრის უკან მდგარი ჯარისკაცი მძლავრი დარტყმით მიწაზე დაანარცხა. ამ დარტყმას ფხალაძის ავტომატის კონდახიც მიეშველა და გერმანელ ჯარისკაცს სული გააცხებინა.

ამასობაში ლუაშვილმა ოფიცერს, სანამ იგი გონს მოვიდოდა, მკლავები მძლავრად მოხვია, კისერი მოუგრიხა, პირში ჩვარი ჩასჩარა და ზურგზე მოიგდო. განთიადისას ორივე საბჭოთა მზვერავი ძვირფასი ნადავლით — მეტად საჭირო „მოენეთი" დაბრუნდა პოლკის შტაბში.

ქართველ მეავტომატეთა საბრძოლო წარმატება დამსახურებულად აღინიშნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

რა თქმა უნდა, ასეთი მამაცი მებრძოლები ნამდვილად ღირსნი იყვნენ მამაცთა პოლკის დროშა ეტარებინათ.

როდიონ ქორქია

# ორმოცი კომკავ-შირელი

(სამოქალაქო ომის ეპიზოდი)

კომკავშირელები უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ. როცა ვაზნები გამოელიათ, ხიშტებით შეუტიეს მტერს. ბრძოლაში გამოუცდელნი იყვნენ და ბევრი დაიღუპა. ვინც გადარჩა, — უკან დაიხია. უკან დასახევი გზა ტბაზე გადიოდა; გადარჩენილმა ორმოცმა კომკავშირელმა ტბას მიაშურა, მაგრამ ნაპირზე გასვლა შეუძლებელი გახდა, — თეთრებს ალყა შემოერტყათ ტბისთვის. კომკავშირელები ტბაში მოემწყვდნენ. ბრძოლა გათავებულიც იყო და წაგებულიც, ამიტომ შაშხანები წყალში ჩაჰყარეს, — თეთრებს არ ჩაუვარდეს ხელშიო.

თეთრების პოლკოვნიკი ნაპირს მიადგა. ტბაში ჩასულებს დააკვირდა. სულ უულვაშო ბიჭუნები და ნაწნავებიანი გოგონები იყვნენ; ტბა ღრმა არ იყო; ზოგს წელამდე სწვდებოდა წყალი, ზოგს — მკერდამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჰმ! ტუჩებზე ჯერ რძე არ შეშრობიათ და ჩვენ კი გვებრძვიან, — გაიფიქრა პოლკოვნიკმა.

მდუმარებამ მოიცვა მიდამო. სიჩუმე პოლკოვნიკმა დაარღვია:

— ამოდით! — დაიღრიალა მან, — დაიჩოქეთ პოლკის წინ, მოინანიეთ დანაშაული და სუყველას შინ გავიშვებთ.

— არ გვინდა თქვენი ნაჩუქარი სიცოცხლე! — ერთხმად უპასუხეს კომკავშირელებმა.

ერთს ან ორს რომ მიეცა ასეთი პასუხი, შეიძლება არ გაბრაზებულიყო პოლკოვნიკი, მაგრამ ერთსულოვანმა პასუხმა, და ისიც ზიზღითა და გესლით სავსემ, პოლკოვნიკი გააბოროტა, სახის კუნთები ნერვიულად შეუთამაშდა, ალმური მოედო, თითქოს სილა გააწნესო.

— არ გინდათ? ნუ გინდათ! — შეჰყვირა გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა და ცივი ხმით განკარგულება გასცა.

— მოიტანეთ ტყვიამფრქვევი!

ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევი მოაგორეს.

— ყველას ჩაგხოცავთ მაგ ტბაში! გესმით, თქვენ, სალახანებო!

— თქვენგან მეტს არც მოველით — უპასუხეს პოლკოვნიკს სასიკვდილოდ განწირულებმა. — თქვენ ხომ ჯალათები ხართ? ან და, რა დანაშაულზე გველაპარაკებით? დანაშაული თქვენ მიგიძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, — უცხოელი ინტერვენტები დაგვასიეთ და გვართმევთ ყველაფერს რაც რევოლუციამ მოგვიტანა, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა!..

— აგიტაცია! — იღრიალა პოლკოვნიკმა, — კმარა! მე თქვენ გიჩვენებთ რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას!

— პირდაპირ! ტბისაკენ! — უბრძანა პოლკოვნიკმა მეტყვიამფრქვეევებს.

კომკავშირელებმა ერთმანეთს გადააჭედეს ხელები და ამაყად შემოსძახეს:

აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო
ქვეყანავ მშიერ მონების!..

— ცეცხლი! — დასჭყივლა პოლკოვნიკმა.

აკაკანდა ტყვიამფრქვევი, მოიცელა პირველი რიგი, ტბაზე სისხლის წითელი ხალები ყაყაჩოებივით გაიშალა.

— ახლაც არ ამოხვალთ? — გასძახა პოლკოვნიკმა.

პასუხად გუგუნებდა „ინტერნაციონალი“, და შორს სწვდებოდა განწირულთა სიმღერის ხმა.

— ცეცხლი! — ისევ დაიღრიალა პოლკოვნიკმა. ტბაზე ყაყაჩოთა რიცხვმა იმატა. ისევ ისე ებრძოდნენ ერთმანეთს ტყვია და სიმღერა:

„... ეს არს ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა...“

ისევ გაისმა პოლკოვნიკის განკარგულება. ისევ აკაკანდა ტყვიამფრქვევი.

ასე დაიღუპა ორმოცი კომკავშირელი.

მხატვარი
დიმიტრი ხახუტაშვილი





კომკავშირში მიღების წინა წუთებია... „ხომ არ შევრცხვები კრების წინაშე?.. ხომ მიმიღებენ?..“ — ფიქრობს, ღელავს ზურაბ ქებულაძე.

— დადგა შენი მიღების დღეც, ქებულაძევ, ხომ არ გეშინია?

ზურაბი მძიმედ მიესალმა. თავს პატივი დასდო და სიტყვით არაუპასუხა-რა. „ხომ არ ღელავთო“, ასე მაინც ეთქვა. ჭკვიანი ქალიშვილია ნესტანი და მაინც ვერ გამოზომა, განა შეიძლება თოთხმეტი წლის ყმაწვილს შეეკითხო, ხომ არ გეშინიაო. თუმცა, იქნება, მართლაც ეშინოდეს, რადგან, ვინ იცის, ვის რა შეკითხვა გაახსენდება და, თუ წაიბორძიკე, ეგებ შენი საქმე მომავალი კრებისათვის გადადონ, თანაც გირჩიონ, მოემზადეო. რას შვრები მაშინ? ამ სასწავლო წელს მეტი კრება აღარც იქნება. იცადე ოქტომბრამდე! ოქტომბერში კიდევ კომკავშირის დაბადების დღეა, მერედა როგორ გამორჩეული: მთელი ქვეყანა ამაზე წერს და ლაპარაკობს. მუშები, კოლმეურნეები, სტუდენტები, მოსწავლეები, ინტელიგენცია საამდღეოდ განსაკუთრებულ ვალდებულებებს კისრულობენ, ნახევარსაუკუნოვანი კომკავშირის სახელზე საგმირო საქმეებს სჩადიან. შენ კი, ზურაბ ქებულაძევ, რომელ-

ეთერ სახეაძე

# ყველაზე ლამაზი



მაისის ის დღე მთლად ზურაბის განწყობილებას ეთანხმებოდა: მაღალი, ნათელი, უღრუბლო, აუმღვრეველი. ზურაბი ისეთ გუნებაზე იყო, რომ საშუადღეოზე ამავალი მზე თავისკენ მომავალ მეგობრად შეეძლო მიეჩნია და მისთვისაც ისევე შინაურულად გაეღიმა, როგორც მერაბ კაციტაძისათვის, ფეხბურთის სათამაშოდ რომ ეძახდა.

სკოლისაკენ მიდიოდა. 51-ე სკოლის სადარბაზოსთან ბიჭმა ქუჩა გარეთ დატოვა და კიბეებს ხტუნვა-ხტუნვით აუყვა, მაგრამ როგორც კი ნესტან ადამიას დაეწია, ორი საფეხურით უკან დაიხია, დაელოდა, როდის აათავებდა კიბეს კომკავშირის კომიტეტის მდივანი. გოგონამ მაინც მოიხედა, ზურაბს გაუღიმა:

საც წილად გერგო სწორედ ამ წელს გახდე კომკავშირელი, შეიძლება კრებაზე ორიანი დაგიწერონ. ორიანი ჰქვია იმას, რომ სიტყვა-პასუხს დაგიწუნებენ და უკან გამოგაბრუნებენ. შენი ხუთები იქ ველარ გიშველის, კრება სხვა რამ არის. ყველა პირში შემოგყურებს, აბა რას იტყვის, რა ბიჭიაო. ჰოდა, რა გასაკვირია, ზურაბ ქებულაძესაც გულს შიშის ჭია ულრღნიდეს, მაგრამ „ხომ არ გეშინიათ“ მიმართვა ქალიშვილისგან მაინც გასაბრაზებელია.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ალბათ ჰკითხავენ, როგორი რაზმი გყავსო. ისიც ადგება და იტყვის: ჩვენი წარმატება მთელ სკოლაშია ცნობილიო, ჩვენ „საუკეთესო რაზმის“ სახელი მოვიპოვეთ, ყველას ვაჯობეთ, ერთი ორიანიც არ დაწერილა, პირიქით, ოთხებმა და ხუთებმა დაჯაბნეს სხვა ნიშნებიო; ჩვენა ვართ, მკითხველთა კონფერენციაზე პოეტ ქალთან ნაზი კილასონიასთან შეხვედრა რომ მოვაწყვეთ; ეს ჩვენი კლასის სატირული გაზეთია, გულიანად რომ გაცი-

მაგრამ ზურაბი სულაც არ იყო ძებნის ხასიათზე. მისი „განწყობილება“ ისე ლამაზი და ამაღლებული იყო, რომ „წვრილმანი“. „ყოველდღიური“ საქმეების გახსენებაც არ უნდოდა. და იქნებ თავის სიცოცხლეში პირველად მოუხდა, მასწავლებლის დავალება მეორე დღისათვის რომ გადადო.

როცა ზარი დაირეკა და მათემატიკის მასწავლებელი შემოვიდა, ზურაბმა ყურადღება მიაქცია, რომ კარი ღრიჭოდ დარჩა და, რომ ამ ღრიჭოში დერეფნიდან მომდგარი

(მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ვარამაშვილმა, ი. შენგელიამ, მ. კაციტაძემ, ზ. ქებულაძემ, რ. ქუჩუკაშვილმა, ნ. მგალობლიშვილმა, დ. მენაბდემ, მ. ბერიშვილმა, კლასის დამრიგებლის — ნინო გონაძის ხელმძღვანელობით, კომკავშირის იუბილესადმი მიძღვნილი ჩინებული ალბომი შეადგინეს.



— ზურაბს ვახლავარ!

ეს ქეთინო გაბიტაშვილია—რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, იმ საბჭოსი, რომელიც ზურაბის ერთ-ერთი რეკომენდატორია.

აგერ ზურაბის მეშვიდე პირველი კლასიც. ზარის დარეკვის მოლოდინში ყველანი დერეფანში გამოფენილან. ხმამაღლა რომ იცინის, ანა ალლაძეა — რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, თავის განუყრელ მეგობართან ნინო მგალობლიშვილთან ერთად. დღეს არც მაგათ უშველით თავიანთი ხუთოსნობა. თუმცა რა:

გაკვეთილზე, რომ იტყვიან, ბუზის ზრენის ხმასაც გაიგონებ კლასში. ყველანი მთელი გულისყურით უსმენენ მასწავლებელს.

ნებთო; და ათას რამეს: ბეწვი რომ ბეწვია, ბეწვის ოდენაც არა გამორჩება-რა...

— ზურაბ ქებულაძევ, ნინო მასწავლებელმა დაგიბარა, მნახეო. — დაახვედრა ამბავი დავით მახათაძემ.

ნინო გონაძე — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ამ კლასის ხელმძღვანელიც გახლდათ.

— რა უნდა, თუ იცი?

— საჟურნალო მასალებს ერთი წერილი აკლია, კარგად მოძებნოსო.

— მე ყველა მასალა საქაღალდეში მქონდა, საქაღალდეშივე გავასწორე და ასე ჩავუტანე.

— მაინც დაკარგულა. შენც მოძებნე, სადმე გექნება.

— მოვძებნი, მაგრამ...

მზე ვიწრო ზოლად იატაკზე გაწვა, დაფას მიაღწია და მარჯვენა კუთხესთან სანთელივით დაენთო.

ბიჭი ხან ფანჯარასთან მშვიდად ამართულ ხეთა მწვანე კენწეროებს გაჰყურებდა, ხან კიდევ — დაფაზე ანთებულ სანთელს.

მასწავლებელმა ნათელა ბაგრატიონი გაიძახა დაფასთან და საშინაო დავალების შემოწმება მოსთხოვა. ნათელამ ყველაფერი ჩაკაკლა. გოგონა საოცრად მშვიდი ჩანდა. ზურაბი გაკვირდა: დღევანდელი მოლოდინის კვალი რად არ ატყვიაო. მერე დაასკვნა: ალბათ, ახლა არც ახსოვს, სამ საათზე რომ კრებაა.

ნათელას მერე მიშა ბერიშვილი გაიძახეს.



ნინო მგალობლიშვილმა, როგორც ყოველთვის, დღესაც სამაგალითოდ უპასუხა ქიმიაში.

მიშამ დაფა წაშალა და მზის სანთელმა ხელი მოუხატა. არც მიშას ეტყობოდა რამე ნიშანწყალი ღელვისა. გაკვეთილი სხაპასხუპით უპასუხა. შემდეგ მანანა ვარამაშვილი და ირინე შენგელია გავიდნენ. თითქოს განგებო, მასწავლებელი სწორედ იმათ იძახებდა, ვინც დღეს კომკავშირის რიგებში უნდა შესულიყო და, იმათაც, თითქოს საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებულანო, ერთი სიტყვაც არ ეშლებოდათ.

,,ნუთუ მარტო მე ვღელავ? — კვლავ ფიქრებს გაჰყვა ზურაბი, — თუ მეც დავმშვიდდი უკვე? ნამდვილად დავმშვიდდი.

გაკვეთილების შემდეგ თერთმეტნი დარჩნენ. რაზმიდან ისინი პირველნი შედიოდნენ კომკავშირში. კომკავშირული კრება იმჯერად მხოლოდ მათს გუნდს ილებდა. სათითაოდ იძახებდნენ. გამოსულს არავინ არაფერს ეკითხებოდა, მხოლოდ ულოცავდნენ.

ზურაბი მესამე შევიდა.

ნესტანმა მისი ანკეტა ჩაიკითხა.

მისდა გასაკვირად, არავინ არაფერი ჰკითხა. ვიღაცამ იხუმრა: ჟურნალის რედაქტორს რაღა ვკითხოთ. რაზმის ხელნაწერ ჟურნალს გულისხმობდნენ. იგი იმდენად საინტერესო საკითხავი იყო, რომ ხელიდან ხელში გადადიოდა და კომკავშირლებიც სიამოვნებით ეცნობოდნენ.

თერთმეტივემ ერთად დატოვა სკოლის შენობა.

ზურაბ ქებულაძე, ნინო მგალობლიშვილი, ნათელა ბაგრატიონი ერთად დაადგნენ ლენინის ქუჩას. რუსთაველის ძეგლთან გზები გაიყო. ნათელამ ელბაქიძის დაღმართზე დაუხვია, ნინო რუსთაველს გაჰყვა, ზურაბი აღმა წავიდა.

ის აზრი აეკვიატა, რომ ნამდვილი აღმართი სამი დღის შემდეგ ჰქონდა ასავლელი. — რაიკომის ბიურო დასამტკიცებლად გამოიძახებდა ახალმიღებულთ და იქ კი უთუოდ „გაწურვა“ მოელოდა.

მიდიოდა და, ქუჩებისა არ იყოს, ზოგი ფიქრი საით უხვევდა და ზოგი — საით. ხან ეჭვი გამოუტყვრებოდა, ხან რწმენა ალავსებდა. მერე ერთმა იძალა, გაფართოვდა, სხვები აქეთ-იქით მისწი-მოსწია და მაღლა წავიდა. ბიჭი უცებ ისე ძლიერი გახდა, თითქოს რომელიღაც კოლონასთან ერთად მიაბიჯებდა და მის გვერდით მიმავალი ადამიანების ძალა უხვად გადმოდიოდა მის სხეულში. სულში დღესასწაული დამდგარიყო.

რომ გეკითხათ, ვერ აგიხსნიდათ, რატომ აგონდებოდა მაინცდამაინც ამ ორიოდე კვირის წინანდელი საპირველმაისო დემონსტრაცია თვით უკანასკნელ წვრილმანებამდე; მაინცდამაინც მერაბ კაციტაძის მხიარული სახე რატომ ედგა თვალწინ.

ქუჩები ჩვეულებრივზე წყნარი ეჩვენებოდა, გული კი — მოხმაურე. თვითონ აღმა-აღმა მიდიოდა, ფიქრი კი ხშირად ხელიდან უსხლტებოდა, უკან ბრუნდებოდა, ისევ სკოლაში შედიოდა და ბიჭიც თან შეჰყავდა: „კომკავშირის საიუბილეოდ ისეთ ჟურნალს გამოვცემთ, ყველას თვალებს დავაჭყეტინებთ. მაინც რა შთამაგონებელია ყოველი ზეიმი! ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს ყველა ერთი და იმავე აზრით არის შეპყრობილი, ერთი კაცივით მოქმედებს. მაგრამ არც წინასაზეიმო სამზადისია ნაკლები. თუ რაიკომის ბიურომ დაგვამტკიცა, მერე ნახონ, რამდენი კარგი საქმე წამოვიწყოთ!.. იუბილემდე ბევრი დრო არ დაგვრჩა და ყველაფერი ერთბაშად ვერ მოესწრება, მაგრამ კომკავშირის საიუბილეო წელი კი უთუოდ რაღაც განსაკუთრებულით უნდა აღვნიშნოთ“.

ეზოს რომ მიუახლოვდა, თავისი სახელი შემოესმა. მეზობლის ბიჭი ეძახდა, თანასკოლელი, თან რაღაც ქაღალდს მოაფრიალებდა — „ისკრის“ პირველი ნომრის პირველი გვერდის ანაბეჭდი იყო, ლენინის სასკოლო მუზეუმისათვის დიდი ცდითა და ზრუნვით ნაშოვნი.

ზურაბმა ჯერ სიტყვიერი მადლობა უთხრა პატარა ბიჭს, რომელმაც მეგობრისაგან მოტანილი საჩუქარი გულმოდგინებით და სიყვარულით დაახვედრა, მერე სიტყვას საჩუქარიც დაურთო — წითელი ყელსახვევი მოიხსნა, სათუთად დაკეცა და გაუწოდა: „გაისად პიონერი იქნები. ეს ჩემს სახსოვრად გქონდეს, გაუფრთხილდი“. მერე ღიმილით თვალი გაადევნა, როგორ გაფრინდა სიხარულით გამჩატებული ყმაწვილი.

თავადაც ნაკლებ გახარებულ-გაამაყებული როდი იყო, მაგრამ ცდილობდა თავი მშვიდად დაეჭირა, როგორც „დიდს“ შეჰფერის. ამიერიდან ხომ იგი მოსწავლეთა უფროს თაობაში გადადიოდა! და ეს სწორედ კომკავშირის დაბადების 50-ე წელს ხდებოდა, სამახსოვრო წელს, დიდი სამზადისის წინა დღეებში...

# ჩემო კომკავშირო

ვახტანგ გორგანელი

მომილოცია, ძმებო,
ორმოცდაათი წელი.
გამოგივლიათ გზები
საუკუნეზე ვრცელი.
კომკავშირული საქმით,
კომკავშირული რწმენით,
ხართ სიხარულის ფარი
და გაზაფხულის მცველი.

ვიცი, ოქტომბრის დილას
როგორ იცავდით მკერდით,
მის გამარჯვებას სისხლით
და შემართებით სწერდით.
თქვენს გმირობაზე მღერის
ზღვა, ნაკადული, ქნარი
და ამ ტკბილ ხმებში ახვევს
მთებს ცხრა მაისის ქარი.

ორმოცდაათი წელი,
მთქმელზე მთქმელია ახლის,
კვლავ სასწაულებს ნახავს,
ვიცი, მშრომელი ხალხი.
მომავალშიაც, ვიცი,
იქნებით ქების ღირსი,
კომკავშირული სიტყვით,
კომკავშირული წინსვლით.

ვარ პიონერი ნორჩი,
თავისუფლების შვილი,
თქვენს სახელოვან გზაზე
მეც სახელოვნად ვივლი.
მეც სახელოვნად ვივლი,
არ ჩამოვრჩები დრო-ჟამს
და სულ ვატარებ მაღლა
დიდი ლენინის დროშას.





# ვინც სამშობლოსთვის

ჯაგუ მებურიშვილი

ომში დაღუპულ
კომკავშირელთა
ხსოვნას

ახლაც კი... ახლაც
ჩვენი ხსოვნის
ნათელში ვახვევთ
ყველა იმ ბიჭის,
იმ გოგონას
საყვარელ სახელს,
ვინც ვერ გაღუნა
ვერ გატეხა
ბრძოლამ ფიცხელმა;
ვინც ნატყვიარზე
მოთმინებას
წამლად იცხებდა;
ვინც დაიმარხა
ამ მიწაში

და არ დანებდა
სიკვდილს და... იქცა
მარადიულ ნატვრად,
ზმანებად;
ვინც დაიმარხა
ამ მიწაში
და აღმოცენდა
თოთო ბალახად
მწვანე თრთოლვად,
მწვანე ოცნებად;
ვინც მაღალ ფიცს და
რწმენას ბზარი
არ მიაკარა
და პირტიტველას

გაერია თმაში ჭაღარა;
ვისი ხსენებაც
მომხდურს გულზე
ხვდებოდა ბარჯად,
ვინც სამშობლოსთვის
სამუდამოდ
ტკივილად დარჩა...—
ამ დიდ ზეიმზე
მათ სახელებს
გავიმეორებთ,
როგორც სიმღერებს,
როგორც ლექსებს—
დროსთან მეომრებს.

ვალერიან ჩეკურიშვილი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

# ბექხაური

მ ო თ ხ რ ო ბ ა

პაპა საშეშესთან მორზე ჩამოჯდა, მუხლი მუხლზე შემოიდო, ქისა ამოიღო და თუთუნი გაახვია.

ბებოს დაღონებული ქმრის დანახვაზე ენა დაება, ვერაფერს ეკითხებოდა, ეშინოდა რამე უბედურება არ ეთქვა.

არც მე ვეკითხებოდი რამეს.

პაპამ გააბოლა, მერე მე დამიძახა:

— მოდი, შვილო, ბებოს მამაშენის წერილი წაუკითხე, თორემ გული გაუსკდება მაგ საწყალს!

მე იმ წუთში ისევ მარგილზე მივაბი ცხენი და პაპასთან მივირბინე.

— კაცო, რა ენა ჩაგივარდა, თუ წერილი მოიტანე, ვერა სთქვი? რა მგლოვიარესავით მოხვედი! —უსაყვედურა ბებომ.

პაპას ხმა არ ამოუღია, უბის ჯიბიდან დინჯად ამოიღო სამკუთხა წერილი და მომაწოდა.

მამა ჰოსპიტლიდან იწერებოდა: „არ შეგეშინდეთ, ფეხში მსუბუქად დავიჭერი. შეიძლება ერთ თვემდე დავრჩე აქ, მერე ისევ ფრონტზე წავალ, ოღონდ არ ვიცი — რა მხარეს. მამი, შენ რომ მიყვებოდი, ასე და ისე ვიბრძოდითო, ეგ ამბები, ახლანდელ ომთან შედარებით, მოგონილია. ახლა სტალინგრადთან ისეთი ბრძოლებია!.. ძალიან მარჯვედ ვიქცევი, მაგრამ ტყვიამ მაინც მიპოვნა. რას იზამ, ომი ასეთია: ზოგი ცოცხალი რჩება, ზოგი კვდება. მე კი დავიჭერი.

დედი, გოგიას მიმიხედეთ. დედით ობოლია და შეიძლება მამითაც დაობლდეს. ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია. თუ მართლა ასე მოხდა, იგულისხმეთ, რომ გოგია მე ვარ...“

— ღმერთმა დაიფაროს და დედა-შვილობის გამჩენმა! — ბებო ქალიკმამ მაღლა აღაპყრო ხელები.

ბოლოს მე მწერდა მამა:

— „შვილო გოგი, აბა შენ იცი, კარგად ისწავლე, ბებოს და პაპას პატივი ეცი. ბევრს ნუ იცელქებ. ნუ გეშინია, შვილო, შენამდე არ მოვუშვებ გერმანელებს, ამ კაციჭამიებს. დედას ვუტირებ და ისე დაგიბრუნდებით შინ.

გკოცნით ყველას თქვენი ლევანი“.

— კაცო, რა თავპირი ჩამოგტირის, რა სწერია ამ წერილში დასაღონებელი? — ჰკითხა პაპას ბებო ქალიკმამ.

— მე რაც მაღონებს, ის მაგ წერილში არა სწერია.

— რა არა სწერია?

— შვილის ამბავი მეც გავიგე და შენცა. ახლა მე ქვეყნის ამბავი მაღონებს.

— კაცო, რა იცი, სთქვი, ამოიღე ხმა!

— რა ვიცი და, აი, ამ მთების იქით მოსულან გერმანელები, — პაპამ საჩქეფის მთისაკენ გაიშვირა ხელი, — ჩრდილო კავკასიაში ყოფილა ფრონტი. აკი მიკვირდა, ამდენი გუგუნი საიდან მესმის-მეთქი. თურმე მთების გადაღმა არის სისხლისღვრა.

— ვინ გითხრა, ადამიანო, იქნებ ტყუილია!

— გაზეთებში წერებულა.

სამივენი საგონებელს მივეცით.

●

ორ დღეში საოცრად შეიცვალა პაპა თინიბექი.

„შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, — სულ ეს სიტყვები ეკერა პირზე. არ ვიცი, ჩვენს გასამხნევებლად, თუ მართლა არ ეშინოდა, გამხიარულდა. ქვეყანას გამარჯვების იმედი აქვს, მე რა მჭირს სატირალიო, ამბობდა.

არაფრის გაკეთება არ გადაუფიქრებია პაპას. ჩვეულებრივ განვაგრძეთ საქმიანობა. საჩქეფის მთას მივადექით და თიბვა დავიწყეთ.

მთაში თიბვა ადვილი არ გეგონოთ. ძალიან ფრთხილად უნდა იყო, რომ ცელი ლოდს არ შეალეწო. თან ცოტა როდი გვქონდა მოსათიბი: თხუთმეტ სულამდე პირუტყვი გვყავდა. აბა, იანგარიშეთ, რამდენი თივა დასჭირდებოდათ მთელი ზამთარი. მერედა, როგორი ზამთარი იცის სვიანაში! შუა ოქტომბერში რომ დასდებს თოვლს, აპრილამდე აღარ აიღებს. მერე, თოვლი რომ აშრება, ბალახი მაშინვე არ ამობიბინდება! თითქმის ერთი თვე ვტრიალებდით საჩქეფის მთაზე. ჯერ გავთიბეთ, მერე ავხვეტეთ, ავაბულულეთ. ბოლოს მარხილით ჩამოვზიდეთ და დავაბინავეთ. თხუთმეტი მარხილი რომ ჩამოვიტანეთ, მერე წვიმები დაიწყო და მთაში აღარ გავვიდგამს ფეხი, ნაავდრალზე საშიშია მთაში წასვლა, შეიძლება მარხილი მოგიცურდეს და...

მთელი ერთი კვირა წვიმდა. მე და პაპა ვისხედით შინ და წვრილმანი საქმეებით ვერთობო-





გაგრძელება. იხ., „პიონერი“ № 8, 9, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. მე ხან ჩემს მტერ-მოყვარე მაგალითს მივუბრუნდებოდი, ვწერდი ხარის ბეჭზე, ვშლიდი, ისევ ვწერდი, მაგრამ პასუხი მაინც არ ჩანდა.

არ ვიცი, ყური მივაჩვიეთ, თუ მტერი უფრო ახლოს მოვიდა, წინანდელზე გარკვევით ისმოდა ზარბაზნების ხმა და ცაშიც ხშირად დაფრინავდნენ თვითმფრინავები. თვითმფრინავი ცოტა დაბლა რომ დაეშვებოდა, პაპა მაშინვე დამიძახებდა; აბა, შეხედე, ფრთებზე წითელი ვარსკვლავები თუ ახატიაო. თუ ვეტყოდი, კი, ახატია-მეთქი, — გაიღიმებდა, თუ ვერ შევნიშნავდი, — ეჭვიან მზერას გააყოლებდა.

— თუ ამ მთებს გადაღმა არიან, მაშინ აქაც მალე გადმოვლენ. — თქვა ერთხელ ბებომ.

— ვერა, აქ ვერ გადმოვლენ! — უპასუხა პაპამ.

— აბა, რა დაუშლით?

— ძნელია კავკასიონზე გადმოსვლა, ძნელი!

— ჰო, თუ გზა-კვალი არ იციან, მართლაც ძნელია ამ კლდეღრეების გადმოლახვა.

პაპა თინიბექმა ბებოს შეხედა. რაკი მიხვდა, რომ ბებო ამას გულით ამბობდა, მის გულუბრყვილობაზე გაჯავრდა.

— ეჰ, დიაცი ხარ, აბა რა გელაპარაკო! — თქვა, წამოდგა და გარეთ გავიდა.

მკათათვის ბოლოს ქერის მკა დავიწყეთ. მკას რომ მოვრჩით, ანეულის ჯერი დადგა. დილიდან საღამომდე თავაუღებლად ვმუშაობდით. ამინდს ვეშურებოდით, წლის მოსავლის დაბინავებას ვჩქარობდით.

სექტემბრის გასვლამდე წელში გავწყდით სამივენი და, როგორც იქნა, დავაბინავეთ ჭირნახული. კიდევ კარგი — ამინდმა შეგვიწყო ხელი, თორემ რას მოვასწრებდით! ახლა მხოლოდ კარტოფილი გვქონდა მიწიდან ამოსაყრელი. რაც დავთესეთ, იმის შემდეგ მისთვის ხელი აღარ გვიხლია, — არ გაგვითოხნია, ველარ გავწვდით და რას გავთოხნიდით. მაგრამ პაპა ამაზე სულაც არა წუხდა. ჩვენი სამყოფი მაინც ამოვა და, მაგის ამოყრა თავსხმაშიც შეიძლებაო, — ამბობდა.

დიდი და მკაცრი ზამთარი იცის სვიანაში. ხანდახან ისე ყინავს, ქვა სკდება. ჰოდა, ვიდრე ყინვები დაიწყებოდა, საკალმახე ხევზე ჩადგმულ წისქვილს საფქვავი დავაყარეთ და მთელი ზამთრის სარჩო დავფქვით.

ოქტომბერიც მიილია და ჯერ კიდევ კარგი ამინდი იდგა.

პაპას ცოტა რომ მოეშვა გულზე, ბარში დააპირა წასვლა.

— ბარემ ამ მოზვერსაც წავიყვან, ყველ-ერბოსაც ჩავაბარებ. ზოგს გავყიდი, ზოგს ვიყიდი. თან წერილსაც მოვიკითხავ, — თქვა პაპამ.

— ჰო, წადი, მაშ! რამდენი ხანია წერილი აღარ მოგვიკითხავს — შეაგულიანა ბებომაც.

— თუმცა, იცი რა? მოდი, შვილო გოგი, ბარემ ის ფუტკრიანი ხეც მოვჭრათ. ერთი ცხენის ტვირთი მაინც გამოვა. ისიც წავიღოთ, ზოგი საბჭოში ჩავაბაროთ, ზოგი გადავცვალოთ. — მითხრა პაპამ.

იმ საღამოს ცულები გავლესეთ, თოფები გავწმინდეთ, საგზალი ჩავიდეთ და დილისთვის მოვემზადეთ.

## 7.

მუშაობაში და ტყე-ღრეში ხეტიალით ისედაც ძველი ტანსაცმელი ტანზე შემოგვადნა.

„აცივდა, როდისთვისღა ინახავთო“, — გვითხრა ბებომ და ბაზარში ნაყიდი ჯარისკაცული ტანსაცმელი ამოგვიღო სკივრიდან.

მე და პაპამ იმ დილით პირველად ჩავიცვით ის ტანსაცმელი, წელზე სავაზნეები შემოვირტყით და ნამდვილ ჯარისკაცებს დავემსგავსეთ. ოღონდ ჩექმები არ ჩაგვიცვამს — ტყეში ჩექმებით სიარული ძნელია.

პაპამ რომ შემომხედა, გაეღიმა:

— უყურე ამ მამაძაღლს, რამოდენა გაზრდილა, ბეჭები ხალათში თითქმის გამართა!

წვერგაუპარსავი პაპა ბებერ ჯარისკაცსა ჰგავდა.

ცულები ავიღეთ, სასაგზლეები ავიკიდეთ და გარეთ გამოვედით. ეზოში გაშხლართულმა ქორიამ რომ შე-



მოგვხედა, ზურგზე ბეწვი აეჯაგრა და შლეგიანივით წამოვარდა. ძლივს შევასწარით შინ.

— შენ გადაგრია შენმა გამჩენმა! შე თვალებდასათხრელო, მართლა უცხოები კი არა ვართ! — შიგნიდან დაუძახა პაპამ აყეფებულ ძაღლს.

— რატომ არა გჯერათ, რომ ვამბობ, ეგ ძაღლი გადარეულია-მეთქი?! — გვითხრა ბებო ქალიკამ, — კარები რომ არ მოგეხურათ, შემოგყვებოდათ და, ან ამ ბუხარში ჰკრავდა ცხვირ-პირს, ან თქვენ შეგჭამდათ.

მე და პაპას გვეცინებოდა. მერე კართან ატუზულ ქორიას შიგნიდან დავუწყეთ „მოლაპარაკება“, ვარწმუნებდით, რომ ჩვენ უცხოები არ ვიყავით.

ძაღლი კუდისქიცინით თითქოს ამბობდა, — ხმას ვცნობ, თქვენ — ვერაო.

ნახევრად გაღებული კარიდან დავენახვეთ, დავაჯერეთ, რომ ჩვენ ვიყავით და ისე გამოვედით გარეთ.

ქორიას ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ეჭვიანი თვალები კი გამოგვაყოლა.

ნასოფლარს რომ გავცდით, პაპამ მითხრა:

— მოდი, ამ დილით ჯერ სადათვიას სათავე მოვინადიროთ. წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, უეჭველად რაღაცას გადავეყრებით.

პაპას ძალიან სწამდა მონადირული სიზმარი. ხშირად უთქვამს, თუ დამესიზმრა, რომ ხინკალი ვჭამე, მეორე დღეს არ შეიძლება ნადირი არ მოვკლაო.

— რა ნახე, პაპავ? ხინკალი სჭამე? — ვკითხე.

— არა, წუხელ ცოტა სხვანაირი ამბავი დამესიზმრა; ვითომ ჩვენს საფუტკრესთან ორი მგელი მოძუნძულდა, სკების გადმოყრა და თაფლის ჭამა უნდოდათ. ამათ როგორ დავუშინდები-მეთქი, გავიფიქრე. ჯერ ერთს დავარტყი კეტი თავში და წავაქციე, მერე — მეორეს. ბოლოს ორივეს ფეხები შევუკარი და შინ მივათრიე.

„ასეთი სიზმარი ღორის მოკვლას არ ნიშნავს, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ასეთი სიზმარი უფრო დათვზე შეიძლება ახდეს. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ თაფლი დათვს უყვარს“.

მივდიოდით ტყეში და მწამდა, რომ იმ დღეს აუცილებლად ორ დათვს მოვკლავდით მე და პაპა. შეიძლება თვით იმ ხეზედაც მიგვესწრო თაფლის წუწკებისათვის, ჩვენ რომ უნდა მოგვეჭრა იმ დილით.

„ასე თუ მოხდა, მაშინ ერთს მე ვესვრი, ერთს პაპა და ხიდან ჩიტებივით ჩამოვყრით“, — ვფიქრობდი გზადაგზა. ფიქრებში და წარმოდგენებში სულაც არ მიჭირდა დათვის მოკვლა. არც მეშინოდა. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, მაშინ კი, არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი.

მჯეროდა, რომ ასე თუ ისე, იმ დღეს აუცილებლად ორ დათვს მოვკლავდით. მაგრამ სადათვიას ხევის კუდები ისე მოვიარეთ, ვერაფერიც ვერა ვნახეთ.

— ეტყობა, მალე მოთოვს — ნადირი ქვევით არის ჩასული, მთის პირებზე იმიტომაც არ შეგვხვდა, — თქვა პაპამ, ჯვარდასმულ წიფელს რომ მივადექით.

ხეს მზე მისდგომოდა, მაგრამ ფუტკრები ფუღუროსთან მაინც არ ფრინავდნენ. მზეს ძალა აღარა ჰქონდა. სიცივეში კი ფუტკარი გარეთ არ გამოდის.

— ცოტა დავისვენოთ, მერე აქეთ-იქიდან მივადგეთ და მოვჭრათ, — მითხრა პაპამ.

ჩამოვსხედით.

ცა მოწმენდილი იყო, ჰაერი — გამჭვირვალე. ნიავის შემოქროლვისას, გაყვითლებული ფოთლები



შრიალით ცვიოდა. ზევით, საჩქეფის მთაზე, სადაც მხოლოდ თითო-ოროლა ხე იდგა, ქორაფები სულაც ტოტებგაშიშვლებულნი იდგნენ.

საჩქეფის გასწვრივ მასარის საჯიხვე კლდეების მხოლოდ ნაწილი მოჩანდა. მის თავზე კი თეთრი და პატარა ღრუბელი მეცხვარის ქუდივით იდო მზის გულზე.

„იქ ახლა ალბათ ჯიხვებიც წვანან. წვანან და არავისიც არ ეშინიათ“, — ვფიქრობდი. მერე თვალში რაღაც მოძრავი წერტილი მომხვდა.

ხმა არ გამიგონია, საჩქეფის მთის წვერზე კი თვითმფრინავი გამოჩნდა. არც ძალიან დაბლა იყო და არც ძალიან მაღლა. ვუყურებდი და მიკვირდა, რატომ არ ისმოდა მისი ხმა. მერე უცებ ხმაც გავიგონე და კიდეც დავინახე, თვითმფრინავს როგორ მოსწყდა ჯერ ერთი რაღაც, მერე — მეორე. რატომღაც მეგონა, რომ თვითმფრინავს ბორბლები მოსძვრა, (არ ვიცი ასეთი სისულელე რამ მაფიქრებინა). მერე უცებ გამახსენდა, რომ იმ მთების გადაღმა ომი იყო და, თვითმფრინავს ბორბლები კი არ მოსძვრა, ბომბები ჩამოყარა. მაგრამ მალე ყველაფერი ნათელი გახდა: ჰაერში ჯერ ერთი პარაშუტი გაიშალა, მერე — მეორე.

— პაპი, პაპავ, შეხედე, შეხედე! — წამოვხტი და დავანახე, — აგერ, იმ თვითმფრინავიდან გადმოხტნენ.

პაპა თინიბექმა ჰაერში გაშლილი პარაშუტებიც დაინახა და უკან მიბრუნებული თვითმფრინავიც. ჭკილი ბიჭივით ზეზე წამოხტა, ხელი მოიჩრდილა და თვალს არ აცილებდა პარაშუტებს.

პირველი პარაშუტი საჩქეფის მთაზე დაჯდა; მეორემ იფრინა, იფრინა და, ჩვენგან დაახლოებით ერთ კილომეტრზე, პირდაპირ ტყეში დაეშვა. დაეშვა კი არა, რომელიღაც წიფელს ქოლგასავით ჩამოეცვა და მზის სხივებით თეთრად განათებული დარჩა.

— ესენი ვითომ ჩვენები არიან?! — მკითხა პაპამ.

მე აბა, რის თქმა შემეძლო, მხრებიღა ავიჩეჩე.

პაპა თინიბექი აფორიაქდა.

— კაცო, ჩვენებს რა სჭირთ საიმისო, რომ ამ უკაცურ ტყეში ჩამოსხდნენ. ან თვითმფრინავს ვინ უშლიდა, ან მაგათ, რომ სოფლამდე ჩასულიყვნენ და იქ ჩამომხტარიყვნენ.

— ჰო, პაპავ, აბა ვინ უშლიდათ?!

— თავი მომჭერი, თუ ეგენი გერმანელები არ იყვნენ!..

ამის გაგონებაზე ტანში ამბურძგლა...

პაპამ თავისი რუსული შაშხანა აიღო და შეამოწმა — შიგ მართლა იყო თუ არა ხუთი ვაზნა. მერე მე მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგი, შვილო, ეგ მამაძაღლები აუცილებლად უნდა დავიჭიროთ.

— ჰა?! — თითქოს ყურებს არ დავუჯერე.

— უნდა დავიჭიროთ!.. კი, ისე დავიჭერთ, მზე მაღლა იქნება! მაგათ ჩემზე უკეთ ხომ არ იციან აქაურობის ასავალ-დასავალი. მე მაგათ დედას ვუტირებ!

პაპა თინიბექი ერთ წუთს ჩუმად იდგა და ფიქრობდა, თან წეკოს ახვევდა.

— იცი რა, ერთი ისედაც დაჭერილია, — მითხრა გაღიმებულმა, — ხეზე ისეა ჩამოკიდებული, როგორც კალმახი ნემსკავზე. ის მეორე კი... იმ მეორეს რამე უნდა მოვუხერხოთ.

პაპამ წეკო გაახვია, ტალ-კვესი ამოიღო, გაჰკრა, აბედი აბოლა, მოუკიდა და ისევ მე შემომხედა.

— ბიჭო, მეორის დაჭერაც ძალიან ადვილია. გინდა გითხრა, როგორ?

— როგორ?

— როგორ და, მთაზე რომ დაჯდა, ის თავის პარაშუტს დაკეცავს და მერე ხეზე დაკიდებული ამხანაგისკენ წამოვა მოსახმარებლად. არ წამოვა?

— ჰო, წამოვა, აბა რას იზამს!

— ჰოდა, იქ ჩვენ დავხვდებით ჩასაფრებულები. მოვა თუ არა, იმ წუთში ხელებს ავაწევინებთ.

პაპამ ლაპარაკში ძალიან იოლად დაიჭირა პარაშუტისტები. მაგრამ მე როგორღაც ვგრძნობდი, რომ მათი დაჭერა ასე იოლი არ უნდა ყოფილიყო.

— მაგათ მე ახლავე ვაჩვენებ, როგორი ბიჭია გედეხაური! მომყევი, შვილო, მომყევი! მაგათ მე ვასწავლი როგორ უნდა სხვის მიწაწყალზე ხოხიალი!

პაპა თინიბექი წინ გამიძღვა.



8.

ჩვენ შორიდან ვხედავდით ხეზე ჩამოცმულ პარაშუტს და მისვლას ვჩქარობდით, მის ამხანაგს რომ არ მიესწრო ჩვენთვის. ვჩქარობდით, მაგრამ ასეთ დროს დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. ხეზე დაკიდებულს არ უნდა შევენიშნეთ, თორემ შეიძლება სროლა აეტეხა და ორივე მოვეკალით, ან შეიძლება ამხანაგისათვის რამენაირად ენიშნებინა ჩემთან არ მოხვიდე, თავს უშველეო. ჩვენც მონადირული ფრთხილი ნაბიჯით მივდიოდით.

პაპამ შემაჩერა და მითხრა:

— ხომ იცი, აქ გამბედაობაზეა საქმე. ვინც გულადი იქნება, ის გაიმარჯვებს. შენ თუ გეშინია, ნუ გამომყვები. აქ სადმე მომიცადე!

აბა როგორ უნდა გამეშვა მარტო? ხომ შეიძლებოდა მათ ეჯობნათ და მოეკლათ? მოდი და ასეთ დროს სთქვი, მეშინია ვერ წამოვალო.

— არაფრისაც არ მეშინია! ორნი ვიქნებით, თოფები ხელში გვექნება, რის უნდა შემეშინდეს? — ომახიანად ვუპასუხე. პაპას გაუხარდა.

— ჰო, შენი ჭირიმე, შვილო! აი ეგრე! არ მიყვარს მხდალი და გულთხელი ვაჟკაცი.

კვლავ განვაგრძეთ გზა.

ისე ახლოს მივეპარეთ, კაციც კი დავინახეთ. პარაშუტი უზარმაზარ წიფელზე იყო ჩამოცმული, პარაშუტზე კი ის კაცი კონწიალობდა. წვალობდა, ქანაობდა, უნდოდა თოკები როგორმე მოეხსნა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ვერც ზევით ადიოდა, ვერც ქვევით.

— ჰო, ეს კარგია, რომ თავისი გაჭირვებით არის გართული, ჩვენ ვერ შეგვამჩნევს, — ჩურჩულით თქვა პაპამ. მაგრამ მაინც ძალიან ფრთხილად ავყევით ხევს. მერე კლდის ძირას მივსხედით. პაპას ვუთხარი:

— მაგასთან ახლოს მისვლა ჯერ რად გვინდა, ჯერ ის მეორე დავიჭიროთ.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს ვერსადაც ვერ გაიქცევა. იმას კი, მე ვიცი, სადაც უნდა ჩავუსაფრდეთ. მან აქ ბილიკები ჩემსავით კარგად როდი იცის. ის უყურებს ხეზე ჩამოცმულ პარაშუტს და პირდაპირ მოდის. მოადგება იქითა მშრალ ხევს. იმ ხევზე მხოლოდ ერთი სადათვე ბილიკით გამოვა. სხვა გზა იქ არ არის. ჰოდა, იმ ბილიკზე ავყრით იარაღს.

პარაშუტიან ხეს კარგა ზემოდან შემოვუარეთ, მშრალ ხევზე გადავედით, ქვევით დავყევით და სადათვე ბილიკზე ჩავედით.

პაპამ იქაურობა მოათვალიერა.

ცოტაზე კიდევ გავყევით ბილიკს და გზის თავზე კლდეს ამოვეფარეთ. იქიდან კარგად ჩანდა წიფელიცა და გაღმა ფერდობიც, სადაც პარაშუტისტს უნდა ჩამოევლო.

მე და პაპა ისეთ მარჯვე ადგილას ვიყავით ჩასაფრებულები, რომ ბილიკზე გამოვლილი კაცი ვერც ზევით გაგვექცეოდა, ვერც ქვევით.

პაპამ ხმელი ფოთლები ფეხით აქეთ-იქით გადახვეტა, რომ არ ეხმაურა, თოფის ლულა ლოდზე გადო და მიმოიხედა.

— ახლა მოვიდეს, თუ ბიჭია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა და გავირინდეთ.

დასასრული შემდეგ ნომერში

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი; 2. მ. აუეზოვის რომანი: 3. სპეციალობა; 4. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი; 5. სარჩილავი ნივთიერება; 6. სოფელი მაიაკოვსკის რაიონში; 7. პლასტიკური მასალა; 8. საღებავი; 9. სუბტროპიკული მცენარე; 10. ერთ-ერთი ეროვნება კავკასიაში; 11. სამუშაო იარაღი; 12. ჩინეთის ქალაქი; 13. მცენარე; 14. სპორტული იარაღი; 15. რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი; 16. მწერი.

**ჰორიზონტალურად:** 17. ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 18. სახელმწიფო ამერიკაში; 19. ფრინველი; 20. ყვავილი; 21. ლიტერატურული ჟანრი; 22. მდინარე საქართველოში; 23. უჰაერო სივრცე; 24. ცნობილი რუსი გამომგონებელი.

შეადგინა ტყიბულის მეორე საშუალო სკოლის VII კლ. მოსწავლე

გიორგი ნიშნიანიძემ.

## პასუხი № 9-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. ბალატინი; 2. გაგრა; 3. არტეკი; 4. შურთხი; 5. იმამი; 6. ელინიზმი; 10. ასანთი; 13. ალისუბანი; 14. კუიბიშევი; 16. ანონიმი; 17. იმერეთი; 22. ანტენა; 23. მოწინავე; 25. ტრანზიტი; 28. კარატი; 29. ორპირი; 30. ორერა; 32. ავყია.

**ჰორიზონტალურად:** 7. ქაშანური; 8. სურამულა; 9. სახრე; 11. სმენა; 12. აკროსტიხი; 15. ანეული; 18. სუნამო; 19. ანათემა; 20. შუმანი; 21. პრემია; 24. ამანათი; 26. ბორანი; 27. ავშარა; 31. ბალტიმორი; 33. უნარი; 34. ავაზა; 35. კვარტეტი; 36. ტრავიატა.

### თავსატეხი



### სახუმარო გამოცანა

ახი მიწის მთხრელი

### აბა, სცადე!



## სარჩევი


რ. მეტრეველი — იუბილარი — ლენინური კომკავშირი (წერილი) . . . 1 გვ.
მ. ფოცხიშვილი — პირველი კომკავშირული (ბალადა) . . . . . . 6
ვ. ი. ლენინი — ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები . . . . . . . . 8
ვ. ბახტაძე — დელეგატის მოგონება . . . . . . 10
ვ. ნადარეიშვილი—ქარიშხლიანი წლების მოგონებებიდან . . . . . . 12
ს. ეული (ქურიძე) — ახალგაზრდობავ, მედგრად წინ, მაღლა! (ლექსი) . 14
ა. მირცხულავა — ლენინური კომკავშირი (ლექსი) . 14
ნ. ოსტროვსკი — როგორ იწრთობოდა ფოლადი ნაწყვეტი რომანიდან) . 15
მწვერვალი — „კომკავშირი—50" (ფოტორეპორტაჟი) . . . . . . . 18
პ. შამათავა — მათ ასახელეს მშობელი ერი (წერილი) . . . . . . . 20
რ. ქორქია — ორმოცი კომკავშირელი (სამოქალაქო ომის ეპიზოდი) . . . 22
ე. სახვაძე — ყველაზე ლამაზი დღე (ნარკვევი) . 24
ვ. გორგანელი—ვაშა, კომკავშირს (ლექსი) . . . 27
ტ. მებურიშვილი — ვინც მამულისთვის... (ლექსი) 27
ვ. ჩეკურიშვილი — გედეხაური (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . 28



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის თენგიზ სამსონაძეს.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-88 პ/მგ. მდივნისა და მხატვარ.-რედაქტ.—93-94-87 განყოფილებების—93-94-29

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина, 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02461 ტირ. 87.750. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$ ფიზ. ფორ. რაოდ. 3. ხელმოწერ. დასაბ. 16/IX-68 წ. სტამბის შეკვ. 3067.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

# ახალი წიგნები



## პარტიის მებრძოლი თანაშემწე

ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავის საიუბილეოდ გამომცემლობა „ნაკადულმა“ საინტერესო წიგნები გამოსცა. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის როინ მეტრეველის წიგნი.

ავტორი მოგვითხრობს კომკავშირის სახელოვან, ისტორიულ გზაზე, მის თავდადებულ ბრძოლასა და შრომაზე სამშობლოს საკეთილდღეოდ. წიგნში დასახულია საქართველოს კომკავშირის სადღეისო ამოცანები.




## საქართველოს კომკავშირის ისტორია

გ. ჟვანია,

ვ. ქარუმიძე,

ნ. ჩახვაშვილი

ამ წიგნით მკითხველი საქართველოს კომკავშირის ისტორიასთან ერთად, საკავშირო ლენინური კომკავშირის ისტორიასაც გაეცნობა, — მათი გზა ხომ ერთია და განუყოფელი!

წიგნში გაშუქებულია ჩვენი პარტიის მზრუნველობა კომკავშირისადმი.




## კომკავშირული ბილეთები გვიამბობენ

პეტრე შამათავა

წიგნში ასახულია სამამულო ომის მონაწილე ახალგაზრდების სიმამაცის მართალი სურათები, რაზეც მეტყველებენ ტყვიით დაცხრილული მათი კომკავშირული ბილეთები...

## ქართველი პოეტები — კომკავშირს

ეს კრებული „ნაკადულმა“ მოამზადა. ჩვენი პოეტების ლექსები მგზნებარედ მოგვითხრობენ კომკავშირის გმირობა-სიმამაცეზე, შრომასა თუ ბრძოლაში. კრებული დაყოფილია თავებად: „კომკავშირის დაბადება“, „როცა ქვეყანა იცვლიდა სახეს“, „სამშობლოსათვის ხმალშემართული“ და სხვ.

ეს წიგნები გაამდიდრებენ თქვენს ბიბლიოთეკას და დიდ დახმარებას გაგიწევთ კომკავშირის ისტორიის შესწავლაში.




## პედაგოგიური საზამთრო

ვლადიმერ ლაგონაკისი

კომკავშირელ გერასიმს ძალიან უყვარდა ბავშვები და გადაწყვიტა სკოლის დამთავრების შემდეგ პიონერხელმძღვანელი გამხდარიყო. ბევრი დაბრკოლება გადალახა, ვიდრე ახალ საქმეს ალღოს აუღებდა და თავის შრომას სახალისოს გახდიდა.






ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა